2015 წელი, 24 - 30 სექტემბერი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი

ახალი განათლება

№27 (701) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

გამოცდების ცენტრი მზად არის, გადავიდეს ელექტრონული ფორმატის ტესტირებაზე

გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი
მაია მიმინოშვილი

„ძალიან აქტიურად ვმუშაობთ იმაზე, რომ ეროვნულ გამოცდებზე, ადმინისტრირების პროცესში, გამოვიყენოთ ახალი ტექნოლოგიები და ქაღალდით და ფანქრით ტესტები ელექტრონული ფორმატის ტესტებით ჩავანაცვლოთ. ბუნებრივია, ეს გარკვეულ საკითხებთანაა დაკავშირებული, რაც აუცილებლად უნდა მოგვარდეს – საგამოცდო ცენტრები უნდა აღიჭურვოს შესაბამისი ტექნიკით. ჩვენი ორგანიზაცია მზად არის გადავიდეს ელექტრონული ფორმატის ტესტირებაზე. თუ გადაწყვეტილება მიღებული იქნება, ამ სიახლეს უკვე 2016 წლისთვის შევთავაზებთ აბიტურიენტებს.“

გვერდი 4

სქემის პირველი დატვირთული წელი, ანუ პროცესების გამოცდა

გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე ირინა აბულაძე

„ახლა, რეალურად, პროცესების გამოცდა მიმდინარეობს. პირველი წელი საპილოტეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ინსტრუმენტები, რაც მასწავლებელთა თვითგანვითარებისა და შეფასებისთვის შემუშავდა, წელს გამოიცდება. ჩვენ რეალურად ვნახავთ, ფართო მასშტაბში, როგორ მუშაობს სქემა, რაც მომავალში მოდიფიცირების საშუალებას მოგვცემს.“

გვერდი 9

სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

აცხადებს 2015 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსს „ლეონარდო და ვინჩი“

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ მიზანია: ზოგადსაგანმანათლებო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესის სტიმულირება-სრულყოფა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება; ინოვაციებისა და ტექნიკის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება; შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც არის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სახელმწიფო და კერძო სკოლების) VII-XII კლასის მოსწავლე.

ინტელის საერთაშორისო სამეცნიერო და საინჟინრო კონკურსში (Intel ISEF) მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მოსწავლე გამომგონებელთა „ლეონარდო და ვინჩის“ 2015 წლის კონკურსში გამარჯვებულ მხოლოდ IX-XII კლასის მოსწავლეებს.

კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდება:

კონკურსის **პირველ ეტაპზე,** საგანაცხადო ფორმა და კვლევის გეგმა/პირველადი იდეა (ატვირთული PDF ფაილის სახით) კონკურსის მონაწილემ უნდა გამოაგზავნოს შემდეგ ელფოსტის მისამართზე: leonardo2015@rustaveli.org.ge საკონკურსო კომისია წარდგენილ საგანაცხადო ფორმასა და კვლევის გეგმას/პირველად იდეას განიხილავს პირველი ეტაპის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და განსაზღვრავს კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ პროექტებს.

კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულმა მოსწავლეებმა განაცხადი უნდა დაარეგისტრირონ ფონდის ელექტრონულ ბაზაში. ფონდის ელექტრონულ ბაზაშივე უნდა აიტვირთოს პროექტის აღწერილობისა და საილუსტრაციო მაკეტის/მოდელის ან/და ნახაზის შემცველი ელექტრონული ფაილები (ფოტოები). დასაშვებია ნახაზების დასკანერებული ვარიანტის ატვირთვა. ასევე უნდა აიტვირთოს ხელმძღვანელის და შესაბამისი დარგის მეცნიერის ან ზედამხედველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფიები. განაცხადის დარეგისტრირების შემდგომ მონაწილეებმა უნდა ამობეჭდონ შევსებული „განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ და ხელმოწერილი სახით (საილუსტრაციო ნახაზთან/მოდელთან/მაკეტთან ერთად) წარადგინონ ფონდში, ხოლო რეგიონებში მცხოვრებმა მონაწილეებმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების (შესაბამისი რაიონის) საგანმანათლებლო რესურსცენტრში.

კონკურსის ადმინისტრირების განრიგი:

- 15/10/2015 16:00 სთ – ელექტრონული განაცხადების გამოგზავნის ბოლო ვადა;
- 16/10/2015 16:00 სთ – კვლევის გეგმის/პირველადი იდეის და შევსებული საგანაცხადო ფორმის კანცელარიაში შემოტანის ბოლო ვადა;
- 23/10/2015 – პირველი ეტაპის შედეგების გამოცხადება;
- 30/11/2015 17:00 სთ – მეორე ეტაპზე საკონკურსო განაცხადის ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაციის ბოლო ვადა;
- 01/12/2015 18:00 სთ – განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ და საილუსტრაციო ნახაზი/მოდელი/მაკეტი რაიონულ რესურსცენტრში, ან ფონდის კანცელარიაში.

რეგისტრაციის ბოლო ვადა:

- 10.12.2015 – საკონკურსო კომისიის მიერ ფინალისტების შერჩევა;
- 18.12.2015 – საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებულის გამოვლენა

დეტალური ინფორმაცია, კონკურსის პირობების შესახებ იხილეთ ქვემოთ მოცემული ბმულებით:

- საქართველოს მთავრობის დადგენილება;
- გენერალური დირექტორის ბრძანება;
- კკონკურსის პირობები;
- პირველ ეტაპზე წარსადგენი საკონკურსო ნამუშევრების კვლევის გეგმა/პირველადი იდეა;
- პირველი ეტაპის საგანაცხადო ფორმა;
- მეორე ეტაპზე წარსადგენი პროექტის აღწერილობა;
- განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- სამეცნიერო მიმართულებები და ქვეკატეგორიები.

განმცხადებლებისათვის ჩატარდება ჯგუფური კონსულტაციები 2015 წლის 30 სექტემბერს და 29 ოქტომბერს 16:00 სთ-ზე, ფონდის საკონფერენციო დარბაზში; მისამართი: მ. ალექსიძის №1, III სართული.

დეტალური ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
პროგრამის კოორდინატორი – მაია ქაჯაია
მისამართი: მ. ალექსიძის 1, III სართული
ტელ: + (995 32) 2 200 220 (4409); 577 97 72 02
ელფოსტა: kajaia@rustaveli.org.ge ვებგვერდი: www.rustaveli.org.ge
გისურვებთ წარმატებებს!

თბილისის შპს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კოლეჯის ხელოვნების მასწავლებელი

ქეთი მხეიძე

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის 1984 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებას გამოთქვამენ თანაკლასელის, ახალგაზრდა მხატვრის

ქეთი მხეიძის

გარადცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

აშშ-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში

იწვევს მოტივირებულ საჯარო სკოლებს მშვიდობის კორპუსის განათლების პროგრამასთან თანამშრომლობისთვის

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, თხუთმეტი წელია, წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კონკურსში შერჩეული სკოლები, ინგლისური ენის სწავლების დონისა და სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, იმუშავებენ ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებელთან 2016-2018 სასწავლო წლების განმავლობაში.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: **კახეთი** (ახმეტის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), **მცხეთა-მთიანეთი** (სტეფანწმინდის გარდა), **ქვემო ქართლი**, **შიდა ქართლი**, **სამცხე-ჯავახეთი**, **აჭარა**, **გურია**, **იმერეთი**, **სამეგრელო**, **რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი**. სოფლებიდან და ქალაქებიდან, რომლებიც განლაგებულია ადმინისტრაციული საზღვრიდან 5კმ-იან ზონაში, განაცხადები არ განიხილება.

თუ თქვენი სკოლა არის ზემოთ აღნიშნულ რეგიონში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი ბადე შეადგენს **24 საათს** და დაინტერესებული ხართ მოხალისესთან თანამშრომლობით 2016-2018 აკადემიურ წლებში, გაეცანით საინფორმაციო დანართს და დაიტოვეთ სკოლაში, შეავსეთ მოხალისის მოთხოვნის ფორმა მასპინძელი ოჯახის განაცხადებთან ერთად და მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი №29ა, თბილისი, 0160 ან გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე

education@ge.peacecorps.gov

მოხალისის მოთხოვნის ფორმის და საინფორმაციო დანართის მიღება შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან საგანმანათლებლო რესურსცენტრებში. მოხალისის მოთხოვნის ფორმების ჩამოტვირთვა ასევე შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ვებგვერდიდან:

http://georgia.peacecorps.acsitefactory.com/media/966

სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა 18 ოქტომბერი, 2015 წელი.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით
ასმათ სიხარულიძე – განათლების პროგრამის ხელმძღვანელი (აღმოსავლეთი)
ტელ: 595906444;
თეო ნეფარიძე – განათლების პროგრამის ხელმძღვანელი (დასავლეთი)
ტელ: 599147047;
ნინო ფიროსმანიშვილი – პროგრამების და ტრენინგების სპეციალისტი
ტელ: 595027979.

პროფესიული განათლება

პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია მიმდინარეობს

მიმდინარე წლის 14 სექტემბრიდან 27 სექტემბრის ჩათვლით, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია მიმდინარეობს და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, სახელმწიფოს სრული დაფინანსებით, დაეუფლოს პროფესიას. მიღება განხორციელდება 150-ზე მეტ, მათ შორის, 45 ევროპული სტანდარტების შესაბამისად შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ 33 საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამ ეტაპზე რეგისტრაცია 5 000-მდე აპლიკანტმა გაიარა. მათ შორის 100-მდე მსურველი შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირია.

რეგისტრაცია მიმდინარეობს ქობულეთის პროფესიულ კოლეჯშიც „ახალი ტალღა“. კოლეჯი რეაბილიტირებულია და უახლესი აპარატურითა და ტექნიკითაა აღჭურვილი. სტუდენტებისთვის ფუნქციონირებს სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებელი და რესტორანი. პროფესიულ კოლეჯში „ახალი ტალღა“ სპეციალობები აჭარის რეგიონის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული გეგმიდან გამომდინარეა შერჩეული, შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე: მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი, ამწის მემანქანე, თაბაშირმუყაოს სპეციალისტი, ელექტრიკოსი, სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი, სარესტორნო საქმის მწარმოებელი, სასტუმრო საქმის მწარმოებელი, მზარეული, კონდიტერი, ტუროპერატორი (აგრო, ეკო და ა.შ.), ბარმენი და სხვ.

ქეთევან ნატრიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე: *„მიმდინარეობს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია. დღეს-დღეობით უკვე დარეგისტრირებულია, დაახლოებით, 5000-მდე პროფესიული განათლების მსურველი. მათ შესაძლებლობა ექნებათ, ჩაირიცხონ პროფესიულ პროგრამებზე, რომლებიც განახლებული სტანდარტის მიხედვითაა გადამუშავებული, გათვალისწინებულია ძალიან მაღალი ხარისხის საერთაშორისო სტანდარტები. უკვე ინერგება მოდულური პროგრამები, რომლებიც პრაქტიკულ უნარებზეა ორიენტირებული და თვითონ დამსაქმებლების ჩართულობით შემუშავებული, რაც კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობებსაც რეალურად გააუმჯობესებს.“*

დავით მჭედლიშვილი, საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორი: *„ჩვენი კოლეჯი მომზადებული შეხვდა ახალ სასწავლო წელს. პირველ რიგში, მინდა გამოვყო ის თანამედროვე მოდულარული პროგრამები, რომლებითაც წელს მოვხიბლეთ ჩვენი აპლიკანტები. ვფიქრობ, ეს პროგრამები მზად არის, რომ ჩვენს ბიზნესს უპასუხოს.*

დღეს დიდი რიგებია ჩვენს მისაღებში და ეს ძალიან სასიამოვნო ფაქტი გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ ორი დღეა რეგისტრაცია დაიწყო, ზოგიერთი პროგრამა უკვე შეივსო, ძალიან დიდია დაინტერესება ახალგაზრდების მხრიდან.“

ნონა ფიფია

სამოქალაქო განათლება

ქვეყნის მომავლის განმსაზღვრელი კომპონენტი თუ მეორეხარისხოვანი საგანი

ახალი სასწავლო წლიდან, რუბრიკით „პედაგოგთა დასახმარებლად“, შემოგთავაზებთ თბილისის №18 საჯარო სკოლის პედაგოგ-ტრენერის, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის თანადამფუძნებლის, ნონა ფიფიას მიერ მომზადებულ საინფორმაციო და მეთოდური ხასიათის წერილებს.

დღევანდელი ნომრის სტუმარია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის ექსპერტი ნიკოლოზ სილაგაძე, რომელიც სამოქალაქო განათლების სწავლებასა და ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოსალოდნელ ცვლილებებზე გვესაუბრება.

– როდიდან და რა მიზნით ისწავლება საქართველოს სკოლებში სამოქალაქო განათლება?

– სამოქალაქო განათლება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სახელით ისწავლება. მისი მიზნებიც, შესაბამისად, განსხვავებულია. თუმცა, ყველა ქვეყანაში ამ დისციპლინას მოზარდთათვის მოქალაქეობის სწავლების მისია აკისრია.

საქართველოში მოქალაქეობის ფენომენი ყოველთვის აქტიური განხილვის საგანი იყო, თუმცა სკოლებში ამ სფეროს ცალკე დისციპლინის სახით შემოტანა მხოლოდ 2005 წელს მოხდა და დანერგვის პროცესი დღემდე უწყვეტად მიმდინარეობს. ამ ხნის განმავლობაში ორი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა შეიცვალა. პირველი რევიზია 2010- 2011 წლებში მოხდა. ამ ეტაპზე კი ვმუშაობთ მესამე თაობის სასწავლო გეგმაზე, რაც უშუალო გაგრძელებაა იმ პროცესისა, რომელიც 2005 წლიდან დაიწყო.

– რა სახის სირთულეები შეხვდა ახალბედა საგანს სკოლებში?

– ბუნებრივია, სიახლეები ყველა დროსა და ქვეყანაში სირთულეებთან ასოცირდება. ამის მიზეზი ისაა, რომ სიახლე თავიდანვე ყველასთვის არ არის გასაგები, მეორე მხრივ კი – მისი (სიახლის) დანერგვა, როგორც წესი, ბევრ ძალისხმევას მოითხოვს, რისთვისაც, პირველ ეტაპზე, მხოლოდ ერთეულები არიან მზად. გამონაკლისი, ამ თვალსაზრისით, არც სამოქალაქო განათლება აღმოჩნდა. საგნის გარშემო დისკუსიები კვლავაც გრძელდება. ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ვერ ვიტყვით, რომ წარსულში დარჩა ის დრო, როცა ამ საგნისადმი ფორმალისტური დამოკიდებულება ჰქონდათ. ბევრისთვის სამოქალაქო განათლება, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ რჩება საჭირო, მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით, მაინც მეორეხარისხოვან საგნად.

ურთულესი პრობლემა იყო და არის საგნისადმი ზედაპირული დამოკიდებულება. მოგეხსენებათ, რომ 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სამოქალაქო განათლება სხვა საგნებთან (ძირითადად ისტორიასა და გეოგრაფიასთან) ინტეგრირებულად ისწავლება. ამასთან, სასწავლო გეგმა ყველა კლასის ყველა საგნის პედაგოგს ავალდებულებს, ყურადღება დაუთმოს სამოქალაქო-სოციალური კომპეტენციების განვითარებას. თუმცა, კვლევები გვიჩვენებს, რომ სამოქალაქო განათლებაზე აქცენტირებულ ყურადღებას მხოლოდ იმ კლასებში (IX-X კლასები) ამახვილებენ, სადაც დამოუკიდებელი საგნის სახით ისწავლება.

პრობლემაა საგნის სწავლების მეთოდოლოგიაც. სამოქალაქო განათლების სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევა მხოლოდ მოსწავლეზე ორიენტირებული, ინტერაქტიულ მეთოდებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების პროცესში შეიძლება. საქართველოს სკოლებში ამ საგანს ხშირად მაინც ტრადიციულ, ე.წ. „დაფისა და ცარცის“ რეჟიმში ასწავლიან, რაც სასწავლო პროცესზე უდავოდ ნეგატიურად აისახება.

ყველაზე მთავარი სირთულე მაინც ის არის, რომ სასკოლო თემის ცხოვრება ხშირად არ პასუხობს იმ ღირებულებებს, რომლის განვითარებასაც სამოქალაქო განათლება მოითხოვს. მაგალითი, როგორც მოგეხსენებათ, ყველაზე კარგი საშუალებაა სწავლა-სწავლების პროცესში. რასაც მოსწავლე სკოლაში თეორიულად სწავლობს, ცხოვრებაში ამ ყველაფრის პრაქტიკული რეალიზების საშუალებას უნდა ხედავდეს. სასკოლო თემის ცხოვრებაში გამეფებული პრინციპები ჯერჯერობით ამის საშუალებას არ იძლევა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის.

– ახალი თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში რა ცვლილებებია მოსალოდნელი?

– ახალ, 2016-2021 წლის ეროვნულ სასწავლო გეგმაში კონკრეტულ ცვლილებებზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს. შესაბამისად, ამ კითხვაზე ზოგადი მონახაზის ფორმატში შეიძლება პასუხის გაცემა. აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ ცვლილებებზე, რომლებიც 2016-2017 წელს, და არა მიმდინარე სასწავლო წლიდან დაინერგება. პირველი ცვლილება საათობრივ ბადეში განხორციელდება. მოგეხსენებათ, სამოქალაქო განათლების ერთ-ერთი პრობლემა საათების მცირე რაოდენობა იყო. მიმდინარე ესგ-ის მიხედვით იგი სავალდებულო საგნის სახით ისწავლება მხოლოდ IX-X კლასებში, ინტეგრირებულად – V-VI კლასებში (საგნის „ჩვენი საქართველო“ ფარგლებში) და VII-VIII კლასების ისტორიისა და გეოგრაფიის საგნობრივ პროგრამებში. ჩვენი სურვილი და მიზანია ამ საგნის უწყვეტი განვითარება. ამიტომ, ახალი ესგ-ით სამოქალაქო განათლების, ისტორიისა და გეოგრაფიის ინტეგრირებული სახით სწავლება დაიწყება III კლასიდან. ახალი საგნის – „მე და საზოგადოება“ – ფარგლებში, რომელიც III-IV კლასებისთვისაა განკუთვნილი.

V-VI კლასებში კვლავაც დარჩება საგანი „ჩვენი საქართველო“, რომელიც ახლაც ისწავლება, თუმცა, სამოქალაქო განათლების კომპონენტი შესამჩნევად იქნება გაძლიერებული. VII-VIII-IX კლასებში კი სამოქალაქო განათლება, სავარაუდოდ, დამოუკიდებელი საგნის სახით იქნება წარმოდგენილი. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სამოქალაქო განათლება, ისევე როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების სხვა საგნები, ახლებური დიზაინით იქნება წარმოდგენილი, რაც პედაგოგებს უფრო მეტად გაუადვილებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების აღქმასა და საკლასო ოთახში მათი რეალიზების გზების დანახვას. სასწავლო გეგმას, დანართების სახით, მოყვება გზამკვლევი და შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც მასწავლებლებს განმავითარებელი შეფასების წარმოებაში დაეხმარება.

გვაქვს მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც, ჩვენი აზრით, სასწავლო პროცესს უფრო მოქნილსა და მოსწავლეზე ორიენტირებულს გახდის. თუმცა, მათ შესახებ, ალბათ, მოგვიანებით ჯობს საუბარი, როცა სამოქალაქო განათლების ახალ სტანდარტს მეტ-ნაკლებად დასრულებული სახე ექნება.

– თქვენი გზავნილი სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს

– სამოქალაქო განათლების პედაგოგებს ვეტყოდი, რომ საქმე, რომელსაც ისინი აკეთებენ, არის უმნიშვნელოვანესი, არა მხოლოდ მათი პროფესიული განვითარებისათვის, არამედ მოსწავლეებისთვის, სკოლისთვის და მთლიანად ქვეყნისთვის. მოვუწოდებ მათ ნუ დაზოგავენ დროსა და ენერგიას პროფესიულ განვითარებაზე, სიახლეების გაცნობა-დანერგვაზე, საკუთარი პრაქტიკის მრავალფეროვანი აქტივობებით გამდიდრებაზე, რადგან ეს არის ერთადერთი გზა სამოქალაქო განათლების ეფექტურად სასწავლებლად. სამოქალაქო განათლების ეფექტურად სწავლებას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის აწმყოსა და მომავლისთვის.

ინფორმაცია

„ელსევიერის“ ბაზაში ქართული ჟურნალები გამოჩნდება

ლალი ჯელაძე

მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს ელექტრონულ ბაზასთან თანამშრომლობა, გასულ წელს, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და ბაზების მომწოდებელ კომპანია „ელსევიერს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაიწყო. ეს მნიშვნელოვანი შეთანხმება სამეცნიერო-კვლევით და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესაძლებლობას მისცემს, უფასოდ ისარგებლონ უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურით. ელექტრონული ბიბლიოთეკა 5 მილიონ ჩანაწერს მოიცავს. მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი გახდება მთელ მსოფლიოში გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა არა მხოლოდ მოკლე ანოტაციების, არამედ შრომების სრული ვერსიების დონეზეც. „ელსევიერის“ ბაზა ასევე შესაძლებელს გახდის სხვა ბიბლიომეტრული ინფორმაციის მოპოვებას. მსგავსი მოცულობის ელექტრონული ბაზები მსოფლიოში მხოლოდ ორ კომპანიას აქვს და მათ შორის ერთ-ერთი „ელსევიერია“.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კომპანია „ელსევიერთან“ ერთწლიანი თანამშრომლობის შედეგად, საქართველოს მეცნიერების ისტორიაში პირველად, „ელსევიერის“ უმსხვილეს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში ორი ქართული სამეცნიერო ჟურნალი განთავსდება. შესაბამის შეთანხმებას ხელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოეწერა.

„ელსევიერის“ ბაზაში ორი ქართული სამეცნიერო ინგლისურენოვანი ჟურნალი: „ანდრია რაზმაძის მათემატიკური ინსტიტუტის ნაშრომები“ და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „აგრარულ მეცნიერებათა მემატიანე“ განთავსდება, რომლებიც კომპანიის წარმომადგენლობამ, ელექტრონულ პლატფორმაზე განსათავსებლად, მაღალი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის სტანდარტების შესაბამისად შეარჩია.

„ერთი წლის ინტენსიური მუშაობის შედეგად, როგორც იქნა დასრულდა მოსამზადებელი სამუშაოები, მართალია ძალიან რთული და შრომატევადი, მაგრამ ძალიან სასარგებლო, რადგანაც მნიშვნელოვან დოკუმენტს მოეწერა ხელი – განაცხადა **თამარ სანიკიძემ**, *– ჩვენი სამეცნიერო ჟურნალების განთავსება საერთაშორისო ბაზებში ნიშნავს იმას, რომ გაიზრდება საქართველოს ცნობადობა. ჩვენი დიდი სურვილია ბაზაში ქართველოლოგიაზე შექმნილი ჟურნალის განთავსება. ამაზე სერიოზულად ვმუშაობთ და დიდი იმედი გვაქვს, რომ მცირე დროში შევძლებთ ისეთი პროდუქტის წარდგენას, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება საერთაშორისო დონეზე“.*

გამომცემლობა „ელსევიერის“ წარმომადგენელი, აღმოსავლეთ ევროპის გამომცემლობის დირექტორი **ევა კიტერბრეჟი** ამ დოკუმენტზე ხელმოწერას თანამშრომლობის პირველ საფეხურად მიიჩნევს და ყურადღებას ორ პროცესზე ამახვილებს – ავტორისთვის სისტემის ხელმისაწვდომობა და უშუალოდ ჟურნალების განთავსების პროცესი. *„ჟურნალის წარდგენა რამდენიმე ეტაპად მოხდება, – აცხადებს ის, – აბსტრაქტების წარდგენა, მათი რევიზია, განხილვა და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი განთავსება. სავარაუდოდ, ბოლო ეტაპი 2016 წლის მარტში დასრულდება, ანუ „ელსევიერის“ სამეცნიერო ბაზაში ქართული ჟურნალები ამ დროისთვის გამოჩნდება. რაც შეეხება ავტორებისთვის სისტემის ხელმისაწვდომობას, მათ უკვე მიმდინარე წელს ექნებათ წვდომა. ავტორები შეძლებენ მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან მიიღონ ინფორმაცია ბაზებთან დაკავშირებით“.*

შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის დირექტორი **მარინა ჩიტიშვილი** „ელსევიერის“ ბაზაზე ქართული ჟურნალების განთავსების ორ ძირითად მიზანს ასახელებს: *„ეს მიზნები ჩადებულია ფონდის სტრატეგიაში და განსაზღვრულია მომავალი ათი წლის განვითარების პერსპექტივაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ მეცნიერების განვითარების კონცეფციაში, ეს არის აკადემიური კვლევების ხარისხის ზრდა და ინტერნაციონალიზაცია. ქართველ მეცნიერებს ხშირად აქვთ დიდი წარმატებები, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ერთეულების დონეზე ხდება. სამეცნიერო სკოლები და კვლევები, რომლებიც ჩვენთან მიმდინარეობს, არ არის გატანილი საერთო სამეცნიერო სივრცეში, სადაც სხვებსაც შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია ან ჩაერთონ აკადემიურ დებატებსა თუ დისკუსიებში. აქედან გამომდინარე, დღევანდელი დღიდან იქმნება შესაძლებლობა, რომ ქართული ჟურნალები გადაიქცეს საერთაშორისო ჟურნალებად, რომლებიც როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მიმდინარე კვლევების და აკადემიური დებატების განხილვის საგანი გახდეს, რაც ზრდის როგორც ქართველი მეცნიერების როლს, მნიშვნელობას, ასევე იმ კოლეგების წრეს, ვისთანაც ქართველ მეცნიერებს შეუძლიათ თანამშრომლობა. ეს ყველაფერი წაადგება იმ საქმეს, რასაც ჰქვია „ჰორიზონტი 20+20“-ის ასოცირებული წევრობა და ხელმისაწვდომობა, რომელიც ყველა ქართველ მეცნიერს ექნება უკვე ევროპულ ძირითად დონორთან და ფონდთან.“*

ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომების რედაქტორი, აკადემიკოსი **ვახტანგ კოლელიშვილი** ამ დოკუმენტზე ხელმოწერას დიდ პასუხისმგებლობად აფასებს და ამბობს, რომ ინსტიტუტი, რომელიც დიდი ტრადიციების მქონეა, ნიკო მუსხელიშვილის მიერ 1937 წელს დაარსდა. ჟურნალის პირველივე ნომერში გამოჩენილი მათემატიკოსების შრომები დაიბეჭდა. *„ძალიან სასიხარულოა, რომ ჟურნალ „ელსევიერის“ ბაზაში იქნება განთავსებული. რასაკვირველია, ეს ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ წარმატებით გავართვათ თავი ამ ამოცანას და საქართველოს მეცნიერების სახელი, კიდევ ერთხელ, ღირსეულად გავიტანოთ საზღვარგარეთ.“*

„აგრარულ მეცნიერებათა მაცნეს“ რედაქტორი **თენგიზ ურუშაძე** მადლობას უხდის ჟურნალის ავტორებს და მიიჩნევს, რომ: *„ეს დიდი მიღწევა სწორედ მათი აქტიური მონაწილეობით გახდა შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, პირველ რიგში, მადლობას მოვახსენებ ჩვენი ჟურნალის ავტორებს სხვადასხვა ქვეყნიდან თუ კონტინენტიდან“.*

შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, ასევე, მიიღო წვდომა (SciVal Funding™) მეცნიერთა და სამეცნიერო პროექტების დაფინანსებისა და რეცენზენტთა საძიებო ბაზებზე.

წარმატებული პარტნიორობა გრძელდება. რუსთაველის ფონდი, ახლა უკვე სამი წლით, დააფინანსებს ორი ქართული სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალის ინფრასტრუქტურულ განვითარებასა და „ელსევიერის“ ბაზაში განთავსებას.

ინტერვიუ

გამოცდების ცენტრი მზად არის, გადავიდეს ელექტრონული ფორმატის ტესტირებაზე

გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი

– როგორ ჩაიარა ეროვნულმა გამოცდებმა?

– გამოცდებმა ნორმალურად ჩაიარა, პროცესი მშვიდ ვითარებაში დასრულდა. ბუნებრივია, ვგულისხმობ არა მარტო საგამოცდო, არამედ გასწორებისა და აპელაციის პროცესს, შემდეგ კი – ჩარიცხვების და გრანტის განაწილების. ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა, 28 ათასზე მეტი სტუდენტი გვყავს, რაც თავისთავად ძალიან კარგია და კმაყოფილი ვარ.

– მაგრამ მაინც დადგა მეორადი ჩარიცხვების საკითხი... შედგა შეხვედრა რექტორებთან და საბოლოო გადაწყვეტილება ამის შემდეგ იქნა მიღებული. საინტერესოა, როგორი იყო რექტორების პოზიცია?

– ამ საკითხთან დაკავშირებით რექტორებთან დეტალურად ვისაუბრეთ. მათ მეორადი ჩარიცხვების ისტორია შევახსენე.

მეორადი ჩარიცხვები ჩვენ შემოვიღეთ და მაშინ ეს სავსებით ლოგიკური იყო, რამდენადაც აბიტურიენტები შეზღუდული იყვნენ არჩევანში – თავიდან მხოლოდ 5 არჩევანით დავიწყეთ, შემდეგ გავზარდეთ 7-მდე, 10-მდე, ბოლოს – 20-მდე, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. მაშინ აზრი ჰქონდა მეორად ჩარიცხვებს. გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ 20 არჩევანი და თუნდაც 10, ჩემთვის სავსებით არალოგიკურია, იმიტომ რომ, შეუძლებელია 18 წლის ახალგაზრდას ზოგადად მაინც არ ჰქონდეს ჩამოყალიბებული, რა მიმართულებით უნდა სწავლის გაგრძელება. არ შეიძლება, ერთდროულად, ექიმობაც გინდოდეს და ისტორიკოსობაც. პლუს კიდევ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მობილობით ისარგებლონ – თუ ერთი წლის განმავლობაში აღმოაჩენენ, რომ ეს ის არ არის, რაც მათ უნდოდათ და სხვაგან ურჩევნიათ ამ მიმართულებით სწავლის გაგრძელება, ეს პრობლემა არ არის. ყოველ შემთხვევაში, იმ წლებში მეგონა, რომ 10 და 20 არჩევანი ძალიან ბევრი იყო, მაგრამ, ბუნებრივია, ძალიან დიდი რაოდენობა იყო აბიტურიენტების, უფრო სწორად – მშობლების (ვიყოთ გულწრფელნი), რომელთათვისაც სულერთი იყო, სად ისწავლიდა მათი შვილი, ოღონდ სტუდენტი გამხდარიყო. ამიტომაც შევთავაზეთ აბიტურიენტებს, უკვე განუსაზღვრელი რაოდენობით მიეთითებინათ უმაღლესი სასწავლებლები. ერთადერთი, რაც უნდა გაეკეთებინათ, პრიორიტეტების მიხედვით დაელაგებინათ. ბუნებრივია, ამას იმიტომ ვთხოვთ აბიტურიენტებს, რომ მათი სურვილები მაქსიმალურად გავითვალისწინოთ. თუ, დავუშვათ და, მათ მიერ მითითებულ პირველ არჩევანზე არ ეყოთ საკონკურსო ქულა, მეორე ნომრად რაც აქვთ მითითებული, იქ განგვეხილა მათი შედეგები და ა.შ. ალბათ გახსოვთ, რომ გადაწყვეტილების მიღებისთვის ვადაც გავუხანგრძლივეთ, ის არ მოიცავს მხოლოდ სარეგისტრაციო პერიოდს, აბიტურიენტებს, დაახლოებით, 6 თვე აქვთ იმისათვის, რომ შეცვალონ, დაამატონ, გამოაკლონ, რიგითობა შეცვალონ და ა.შ. წელს ეს პერიოდი 12 აგვისტოს ჩათვლით ჰქონდათ, ანუ მას შემდეგაც, რაც გაიგებდნენ საკუთარ შედეგებს გამოცდებზე. აქედან გამომდინარე, როდესაც შეუზღუდავი რაოდენობით აძლევ შესაძლებლობას, მიუთითონ უმაღლესი სასწავლებლები (მარტივად რომ ავხსნათ, აქ საუბარია იმაზე, რომ, თუ მეოთხე საგნად ავირჩიე ისტორია, შემიძლია მივუთითო ყველა უმაღლესი სასწავლებელი და ყველა ფაკულტეტი, სადაც ისტორიაა მოთხოვნილი სავალდებულო გამოცდად), ბუნებრივია, მეორადი ჩარიცხვები აზრს კარგავს. ვთქვათ, 40 ფაკულტეტი მაქვს მითითებული, რიგითობით მაქვს დალაგებული პრიორიტეტების მიხედვით. მე თუ, მაგალითად, მესამე ან მეოთხე არჩევანზე ჩავირიცხე, დანარჩენი უგულებელყოფილია და, აქედან გამომდინარე, ბოლო ადგილებზე შემიძლია მივუთითო ისეთი უმაღლესი სასწავლებელი და ფაკულტეტი, სადაც ყველაზე ნაკლებად მინდა სწავლის გაგრძელება. უფრო სწორად, არ მინდა, მაგრამ, თუ ჩემთვის სასურველ უმაღლეს სასწავლებელში ვერ ჩავირიცხე და მაინცდამაინც სტუდენტობა მინდა, ჩავწერ ბოლო ადგილებზე იმ უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც არ მინდა სწავლა და თუ სტუდენტი ვერ გავხდები პრიორიტეტულ უმაღლეს სასწავლებლებში, ჩამონათვალში ესეც მეწერება და ბოლოს და ბოლოს აქ მაინც ჩავირიცხები.

მესამე წელია, რაც აბიტურიენტებს ეს შევთავაზეთ და მესამე წელია, ისევ დაიწყო საუბარი მეორად ჩარიცხვებზე. შარშან და შარშანწინ გამონაკლისი დაუშვა მინისტრმა და, ალბათ გახსოვთ, რომ ჩვენი ორგანიზაცია კატეგორიულად იყო წინააღმდეგი. ინტერპრეტაცია ასეთი იყო: უმაღლეს სასწავლებლებში დარჩა თავისუფალი ადგილები, მეორე მხრივ, არიან აბიტურიენტები, რომლებმაც ზღვარი გადალახეს, მაგრამ რატომღაც მიუთითეს ორი, სამი და ოთხი უმაღლესი და ვერც ერთში ვერ ჩაირიცხნენ, ახლა იმ თავისუფალ ადგილებზე უნდათ ჩარიცხვა. ერთი მხრივ, უმაღლეს სასწავლებელს უნდა სტუდენტების მიღება, მეორე მხრივ, ამ აბიტურიენტებს ადრე არ ჰქონდათ, მაგრამ ახლა გაუჩნდათ სურვილი, იქ გააგრძელონ სწავლა და რატომ არის წინააღმდეგი ჩვენი ორგანიზაცია. მაშინაც ვცდილობდი ამეხსნა და წელსაც იმავეს ვიმეორებდი, რექტორებთან შეხვედრაზეც ამ თემაზე ვსაუბრობდი – ეს არის ერთი კატეგორია აბიტურიენტებისა, რომლებმაც მიუთითეს არასაკმარისი რაოდენობა უმაღლესი სასწავლებლებისა და ვერ ჩაირიცხნენ მათ მიერ მითითებულ უმაღლეს სასწავლებლებში.

არის აბიტურიენტთა გარკვეული რაოდენობა და არც ისე მცირე, რომლებმაც შეგნებულად მიუთითეს მხოლოდ ერთი ან ორი უმაღლესი სასწავლებელი და მხოლოდ ერთი მიმართულება. ამ აბიტურიენტებთანაც მქონდა შეხვედრა და მეუბნებოდნენ, უფრო მეტი ფაკულტეტი რომ მიმეთითებინა და სხვაგან ჩავრიცხულიყავი, მე იქ სწავლას არ გავაგრძელებდი, რადგან ზუსტად ვიცი, რა მინდა და სად მინდა. მათ მეორად ჩარიცხვებში მონაწილეობის პრეტენზია ნამდვილად არ ჰქონიათ. იყო ერთი აბიტურიენტი, რომელიც მიხსნიდა: ექიმობა მინდა, მაგრამ მინდა სამედიცინო უნივერსიტეტში ან ჯავახიშვილის ჯანდაცვის ფაკულტეტზე, სხვაგან არ მინდა. გაისისთვის მოვემზადებიო. ჩემთვის ეს ნამდვილად დასაფასებელია, როდესაც ახალგაზრდას უკვე აქვს წარმოდგენა, რა მიმართულებით სურს სწავლის გაგრძელება. ამ ახალგაზრდას ქიმია ჰქონდა ჩაბარებული და შეეძლო ყველა ის ფაკულტეტი მიეთითებინა, რომელზეც სავალდებულო საგნად ქიმია იყო გამოცხადებული, მაგრამ ეს იმიტომ არ გააკეთა, რომ ქიმიურზე ან სხვა მიმართულებაზე სწავლა არ უნდოდა, შეგნებულად მიუთითა მხოლოდ და მხოლოდ ორი უმაღლესი სასწავლებელი. ისიც იმ 619 აბიტურიენტს შორის მოხვდა, რომლებმაც გადალახეს ზღვარი, მაგრამ ვერ ჩაირიცხნენ.

არის საკმაოდ დიდი რაოდენობა აბიტურიენტებისა, რომლებმაც, ასევე, დაუშვეს შეცდომა ჩამონათვალის მომზადებაში და ისეთ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხნენ, სადაც აპრიორი სწავლას ვერ გააგრძელებენ იმიტომ, რომ მითითებული ჰქონდათ ისეთი ფაკულტეტი, სადაც სწავლა უფასო არ არის, ანუ სახელმწიფო არ აფინანსებს ან კერძო უმაღლესი სასწავლებელი, სადაც გადასახადი 2250 ლარზე გაცილებით მეტია. მშობლები მიხვდნენ, რომ მათი შვილები ქუჩაში რჩებოდნენ, ხელშეკრულებას ვერ გააფორმებდნენ და ითხოვდნენ, შემდეგ ნომრად მითითებულ არჩევანზე ჩაგვრიცხეთო. ავუხსენით, რომ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია იმიტომ, რომ ჩარიცხვების პროგრამაში ერთი აბიტურიენტის ადგილიდან დაძვრა მთელი სისტემის არევას გამოიწვევს. დიდი იყო ისეთი აბიტურიენტების რაოდენობა, რომლებმაც არ გაითვალისწინეს სწავლის საფასური ან, რიგ შემთხვევებში, ადგილმდებარეობა, მაგალითად, ერთი მშობელი იყო გორიდან შვილთან ერთად მოსული, რომელმაც ზუგდიდის უმაღლესი სასწავლებელი მიუთითა, არ მიაქცია ყურადღება, რატომღაც, რომ ეს სასწავლებელი ტერიტორიულად ზუგდიდშია და გვეუბნებოდა: მე ვერ გადავსახლდები ზუგდიდში და ვერც ბავშვს გავუშვებ, იმიტომ რომ დამატებით თანხასთან არის დაკავშირებულიო. შარშან ასეთი აბიტურიენტების რაოდენობა, ვინც ვერ მოახერხეს ხელშეკრულების გაფორმება უმაღლეს სასწავლებელთან, მიუხედავად იმისა, რომ რანჟირებულ სიაში ჩარიცხულები იყვნენ, 500 იყო.

აბიტურიენტებისთვის, რომელთაც მეორად ჩარიცხვაზე ჰქონდათ პრეტენზია (სულ 29 აბიტურიენტი), ვცდილობდი ამეხსნა, რომ არ მაქვს უფლება, მოვიქცე უსამართლოდ. შარშან და შარშანწინაც მოვიქეცით უსამართლოდ, როდესაც იმ 500 აბიტურიენტის პრობლემები არ გავითვალისწინეთ. თუ ჩვენ აბიტურიენტების კონკრეტულ ჯგუფს ვაძლევთ ცვლილების განხორციელების შესაძლებლობას ჩამონათვალში, მაშინ სხვებსაც უნდა მივცეთ იგივე უფლება და შევაცვლევინოთ რეიტინგული ჩამონათვალი. ეს კი, რა თქმა უნდა, ავტომატურად გულისხმობს, რომ უნდა შეჩერდეს პროცესი, თავიდან უნდა მივცეთ ყველას შესაძლებლობა, გააკეთოს განაცხადი, თავიდან უნდა გავიაროთ ჩარიცხვების პროცედურა და, ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, უმაღლესი სასწავლებლები სწავლას მეორე სემესტრამდე ვერ დაიწყებენ.

რაც ყველაზე მთავარია, უნდა გავითვალისწინოთ უკვე ჩარიცხული სტუდენტების უფლებები, რომლებმაც უკვე დაიწყეს სწავლა და გააფორმეს ხელშეკრულებები. თუ ჩარიცხვების პროგრამას თავიდან დავატრიალებდით, ყველა სტუდენტი ისევ აბიტურიენტი გახდებოდა, თავიდან უნდა მოემზადებინა განაცხადი, რაც ამ პროცედურას თან ახლავს, ბუნებრივია, სურათიც შეიცვლებოდა, რაც, 28 ათასამდე სტუდენტის უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ეს თეორიულადაც წარმოუდგენელია და, ბუნებრივია, ჩვენ ამაზე წამსვლელები არ ვიყავით, მაგრამ უბრალოდ გვინდოდა ახსნა იმ 29 აბიტურიენტისთვის, ვინც მოთხოვნას აწერდა ხელს. ხომ უნდა გავაცნობიეროთ, რას ვითხოვთ.

დავუშვათ, ეს აბიტურიენტები მეორადი ჩარიცხვით ჩარიცხულიყვნენ. ეს პროცედურა გარკვეულ დროს საჭიროებს და სწავლას მხოლოდ მეორე სემესტრიდან დაიწყებდნენ ისევე, როგორც ეს შარშან მოხდა. სადაც არ უნდა ჩარიცხულიყვნენ, გადასახადი მთელი წლის ექნებოდათ გადასახდელი, მიუხედავად იმისა, რომ ერთი სემესტრი არ ისწავლიდნენ. სტუდენტებს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, სოციალური გრანტის მოსაპოვებლად, სოციალურ პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ. მეორადი ჩარიცხვის შემთხვევაში, ამის უფლებასაც კარგავენ, რადგან სწავლას მეორე სემესტრიდან დაიწყებენ და სოციალურ პროგრამაშიც ვერ მოხვდებიან. რა გამოდის, რომ ვიბრძვით მხოლოდ ორი თვისთვის?! ვუხსნიდი იმასაც, რომ თუ იმის იმედი გაქვთ, რომ სექტემბრიდან სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადასვლას მოახერხებთ, ესეც დაივიწყეთ, იმიტომ რომ, მობილობით სარგებლობისთვის, ერთი წლის განმავლობაში, შესაბამისი კრედიტები უნდა დააგროვოთ და მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ მობილობაზე ფიქრი. ერთი სემესტრის განმავლობაში, თეორიულადაც კი, შეუძლებელია ერთი წლის კრედიტების დაგროვება. მიუხედავად ამ ყველაფრისა, რადგან შარშან და შარშანწინ იყო ამის პრეცედენტი, რამდენიმე აბიტურიენტი ითხოვდა მეორად ჩარიცხვას.

შარშან 200-მდე იყო მათი რაოდენობა, ვინც გადალახა ბარიერი და ვერ ჩაირიცხა კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებელში. მეორადი ჩარიცხვების შედეგად, როგორ გგონიათ, დაახლოებით, რამდენი ჩაირიცხა? 75 აბიტურიენტი. მათგან რამდენმა გააფორმა ხელშეკრულება უმაღლეს სასწავლებელთან? ხელის თითებზე შეგვიძლია დავითვალოთ. შეხვედრაზე ამ საკითხით დავინტერესდი, რექტორთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მიპასუხა, ჩვენთან არც ერთი სტუდენტი მეორადი ჩარიცხვით არ მოსულაო. ერთად ერთი რექტორი იყო, რომელმაც გვითხრა, რომ ერთი სტუდენტი ჩაირიცხა და იმანაც ხელშეკრულება არ გააფორმა. შესაძლოა თითო-ოროლა სხვა უმაღლესებშიც არის, მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლის. ბუნებრივია, როდესაც უმაღლესი სასწავლებელი მეორადი ჩარიცხვით მოხვედრილ სტუდენტებზე პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს, მეორე სემესტრიდან სპეციალურად უნდა გამოყოს მასწავლებლები იმ ერთი სტუდენტისთვის, შეცვალოს მისთვის სასწავლო გეგმა და სასწავლო პროცესი ამ ინდივიდუალურ სტუდენტს მოარგოს.

ხომ შეიძლება დავსვათ ლოგიკური შეკითხვა – ან ერთი, ან მეორე მხრიდან, რისთვის ვიბრძვით? რას ვკარგავთ? თებერვლის ბოლოდან უკვე ახალი პროცესი იწყება და იმის მაგივრად, რომ სრულყოფილი სტუდენტი გავხდე, საგრანტო კონკურსშიც მივიღო მონაწილეობა, თუ სოციალურად დაუცველი ვარ, სოციალურ პროგრამაშიც მოვხვდე, სათანადოდ მოვემზადო და მეორე წელს ჩავაბარო, ვითხოვ მეორად ჩარიცხვას. არ მესმის, რა მენტალიტეტია. სიმართლე გითხრათ, მშობლებთან უფრო გამიჭირდა საუბარი და ამის ახსნა-განმარტება, ვიდრე აბიტურიენტებთან და სტუდენტებთან. როგორ შეიძლება ახალგაზრდას არასრულფასოვანი სტუდენტობა უსურვო, ეს მშობლებმაც უნდა გააცნობიეროს.

ერთხელ და სამუდამოდ, ამ ყველაფერს წერტილი უნდა დავუსვათ, ცოტა გონივრულად მოვიქცეთ და, წესისა და რიგის ფარგლებში, გავაკეთოთ ყველაფერი. რა თქმა უნდა, შეხვედრა ძალიან ნაყოფიერი იყო და, საბოლოო ჯამში, ყველანი ერთი და იმავე პოზიციაზე აღმოვჩნდით.

ჩვენი ორგანიზაციის კარი ღიაა ნებისმიერი მსურველისთვის. ყოველ ხუთშაბათს მე პირადად მაქვს მიღების საათები, დილიდან საღამომდე. სხვა დღეებშიც, ყოველ წუთს და წამს შეუძლიათ მოვიდნენ ჩვენთან და კონსულტაციებზე, ბუნებრივია, არავინ დაზარდება, ჩემიდან დაწყებული ნებისმიერი თანამშრომლის ჩათვლით.

– აბიტურიენტები იმასაც ამბობდნენ, რომ რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი მივუთითეთ, მაგრამ პროგრამულად არ აისახაო

– ეს გამორიცხულია – პროგრამა შესაძლებლობას გვაძლევს, შევამოწმოთ თითოეული წამი და წუთი, როდესაც აბიტურიენტი შედის პროგრამაში, თუნდაც ცვლილებას არ ახორციელებდეს და მით უმეტეს, როცა ცვლილებას განახორციელებს. რამდენიმე აბიტურიენტი მოვიდა, მშობელთან ერთად და თქვა, რომ მე ეს უმაღლესი მქონდა მითითებული და შემდეგ არ აღმოჩნდა ჩამონათვალშიო. ეს ნამდვილად ტყუილი იყო. თუ პროგრამას რაიმე ხარვეზი აქვს, ეს ერთ, ორ ან თუნდაც ათ აბიტურიენტს კი არ შეეხება, არამედ, საბოლოო ჯამში, ათი ათასობით აბიტურიენტს, მასიურ სახეს მიიღებს. თუ აბიტურიენტს ასე ეჩვენებოდა ან ახსოვდა, რომ სხვანაირად ჰქონდა ჩამონათვალი, ამის შემოწმება ძალიან მარტივია. ვაჩვენეთ, მარტიდან დაწყებული 12 აგვისტოს ჩათვლით, რომელ დღეს, რომელ საათზე, რომელ წუთზე იყვნენ შესული პროგრამაში, განახორციელეს თუ არა რაიმე ცვლილება, რა დაფიქსირდა ბაზაში. ეს არ არის დახურული პროგრამა, რომელსაც ვერ შეამოწმებ.

– 2016 წელს რაიმე სიახლე ხომ არ იგეგმება ეროვნულ გამოცდებზე?

– ძალიან აქტიურად ვმუშაობთ იმაზე, რომ ადმინისტრირე-

ინტერვიუ

ბის პროცესში გამოვიყენოთ ახალი ტექნოლოგიები და „ქაღალდით და ფანქრით“ ტესტები ელექტრონული ფორმატის ტესტებით ჩავანაცვლოთ. ბუნებრივია, ეს გარკვეულ საკითხებთანაა დაკავშირებული, რაც აუცილებლად უნდა მოგვარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ თემაზე საუბარი ზედმეტია. უახლოეს მომავალში იქნება მიღებული გადაწყვეტილება, ვგულისხმობ საგამოცდო ცენტრების აღჭურვას შესაბამისი ტექნიკით და, ამ შემთხვევაში, ჩვენი ორგანიზაცია მზად არის, გადავიდეს ელექტრონული ფორმატის ტესტირებაზე. თუ ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნება, ამ სიახლეს უკვე 2016 წლისთვის შევთავაზებთ აბიტურიენტებს. საკითხი ძალიან მალე უნდა გადაიჭრას, ამ თვეს არ უნდა გადაცილდეს და აბიტურიენტები დროულად უნდა იყვნენ ინფორმირებული ამ სიახლესთან დაკავშირებით.

თუ საკითხი დადებითად გადაწყდება, რისი დიდი იმედი მაქვს, მაშინ მთელი წლის განმავლობაში, ინფორმაციის მიწოდების გარდა, გვექნება ბევრი აპრობაცია. აბიტურიენტებს შესაძლებლობა ექნებათ, დეტალურად გაეცნონ სიახლეს, რომელსაც 2016 წელს შევთავაზებთ. პირადად მე, ძალიან მინდა, რომ ტექნიკური საკითხები გადაიჭრას, იმიტომ რომ, უკვე აქტიურად ვმუშაობთ ელექტრონულ ფორმატზე.

სხვა მხრივ, აბიტურიენტების შემთხვევაში, ახალი არაფერია. სექტემბერი (ოქტომბრის პირველ ნახევრამდე), როგორც წესი, ჩვენთვის, ორგანიზაციის შიგნით, აქტიური პროცესია. გამოცდების შემდგომ, როდესაც შედეგები სახეზეა, მიმდინარეობს თითოეული საგამოცდო ტესტის დეტალური ანალიზი. კვლევის დეპარტამენტთან და საგნობრივ ჯგუფებთან ერთად, გვაქვს ინტენსიური სემინარები. კვლევის საფუძველზე ვიღებთ გადაწყვეტილებას, არის თუ არა აუცილებელი, შინაარსობრივი თვალსაზრისით, შედეგებზე და ფსიქომეტრულ ანალიზზე დაყრდნობით, ამა თუ იმ ტესტური დავალების ფორმატის შეცვლა. მაგრამ ამას სიახლეს ვერ დავარქმევ, მაგალითად, ისტორიის ტესტში მაქსიმალური ქულა შეიცვლება თუ რომელიღაც დავალების ფორმატი. თუმცა, რა თქმა უნდა, როგორც კი გადაწყვეტილებას მივიღებთ, ამის შესახებ ვიწყებთ საუბარს და აბიტურიენტებს წინასწარ ვაცნობთ ინფორმაციას.

ბუნებრივია, თუ ჩვენ ელექტრონული ფორმის ბუკლეტების მომზადებაზე გადავედით, თვითონ ტესტის ბუკლეტის ფორმატი, შესაძლოა, გარკვეულწილად შეიცვალოს, კომპიუტერის ეკრანს უნდა მოერგოს და განსხვავებული ფორმატის იქნება. არ ვგულისხმობ შინაარსობრივ ნაწილს, ვსაუბრობ თვითონ ფორმატზე – როგორ უნდა განთავსდეს დავალება ეკრანზე თუ სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, ამაზე უკვე ვმუშაობთ. გადასაწყვეტია მნიშვნელოვანი საკითხი – რამდენად იქნება შესაძლებელი საგამოცდო ცენტრების აღჭურვა შესაბამისი ტექნიკით. ბუნებრივია, ეს არ არის მარტივი სამუშაო, პირველ რიგში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს აბიტურიენტების ინტერესები იმ თვალსაზრისით, რომ თვითონ ტესტური დავალების ფორმატი ეფექტურად იყოს განლაგებული ეკრანზე და პრობლემას არ წარმოადგენდეს დავალებებზე მუშაობა, ამ კუთხით სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი. ბუნებრივია, ამანაც შეიძლება, კოსმეტიკური თვალსაზრისით, გარკვეული კუთხით, ფორმატის ცვლილება გამოიწვიოს. შინაარსობრივი თვალსაზრისით, რადიკალური ცვლილების მოლოდინი არ გვაქვს. ოქტომბრის პირველი რიცხვებისთვის, ანალიზს რომ დავასრულებთ, მაშინ გამოჩნდება საჭირო იქნება თუ არა მცირე ცვლილებები.

– საზოგადოების ერთი ნაწილი საატესტატო და ეროვნული გამოცდების გაერთიანების მომხრეა...

– მე მგონი, ყველა ერთად ვთანხმდებით, რომ თვითმიზანი არ არის და არც შეიძლება იყოს ახალი საგამოცდო მოდელის შემოტანა, რაღაცის შეცვლის. ნებისმიერი საგამოცდო მოდელი მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს – რას ემსახურება კონკრეტული საგამოცდო მოდელი. ბუნებრივია, საგამოცდო მოდელი კონკრეტულ პრინციპებს ეყრდნობა. აქედან გამომდინარე, თუ მკაფიოდ ჩამოყალიბდება, რას უნდა ემსახურებოდეს კონკრეტული საგამოცდო მოდელი (რაც ჩვენი ორგანიზაციის პრეროგატივა არ არის) და შესაბამისი პრინციპები იქნება შემოღებული, ბუნებრივია, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება უკვე საუბარი იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ეს საგამოცდო მოდელი.

დღეს ამაზე ლაპარაკი ნამდვილად ნაადრევია, რამდენადაც პრინციპები, რომლებსაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ეყრდნობა და რაზეც ეს მოდელი აიგო, არ შეცვლილა. თუმცა, იმთავითვე ვამბობდით, დროულად იყო შესაცვლელი იმიტომ, რომ აუცილებლად მოგვცემდა უარყოფით შედეგებს. პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს უმაღლესი სასწავლებლების პრინციპი, სახელმწიფო გრანტის განაწილების პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა ეს მოდელი. თუ ეს პრინციპი არ შეიცვალა, მაშინ უბრალოდ გაუგებარია, რა მოდელზე ვსაუბრობთ. მხოლოდ ის მიზეზი, რომ აბიტურიენტს ძალიან ბევრი გამოცდის ჩაბარება უწევს, არასერიოზულია. იმ პერიოდში, ჩვენ არ ვიყავით გამოსაშვები გამოცდების სისტემის შემოღების მომხრეები, მაშინ აბიტურიენტს სულ ოთხი გამოცდის ჩაბარება უწევდა. წინა ხელისუფლების პერიოდში შემოღებული იქნა საატესტატო გამოცდები, ჩვენ უბრალოდ შემსრულებლები ვიყავით. მაშინვე ვცდილობდი ამეხსნა, რომ სკოლა სერიოზული გამოწვევების წინაშე იდგა და სასწავლო პროცესს პრობლემები ჰქონდა, ახალი საგამოცდო მოდელის შემოტანით შეიძლება კიდევ უფრო დაგვემძიმებინა მდგომარეობა, ახალი საგამოცდო მოდელით სასწავლო პროცესი არ გამოსწორდებოდა. მაგრამ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა და ჩვენც იძულებული გავხდით, შემოგვეღო ახალი სისტემა გამოსაშვები გამოცდების სახით.

მაშინ დავუბრუნდეთ იმ სისტემას, როდესაც სტუდენტებს ოთხი გამოცდა ჰქონდათ ჩასაბარებელი ან სულ გავაუქმოთ საგამოცდო სისტემა და არც ერთი გამოცდა არ ექნება ჩასაბარებელი და კიდევ უფრო ბედნიერი იქნება! მიზეზი, რომ აბიტურიენტი ბევრ გამოცდას აბარებს, მარტივად რომ ვთქვათ, არასერიოზულია.

ბევრ წარმატებულ ქვეყანაში ძალიან ეფექტურად არსებობს ე.წ. მატურა გამოცდების სისტემა, სადაც მოსწავლეები გამოსაშვები გამოცდების სახით აბარებენ გამოცდებს და შემდეგ ის შედეგები უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხად არის გამოყენებული. ჩვენ შემთხვევაში, ამის ახლა გაკეთება ძალიან ბევრ პრობლემას გააჩენს. თავი დავანებოთ ლოჯისტიკურ მხარეს, დავუშვათ მოგვარდა ყველაფერი და, 19 საგამოცდო ცენტრის ნაცვლად, გვაქვს 2000 საგამოცდო ცენტრი, ცოტა მეტიც. დავუშვათ, მოსწავლემაც ჩააბარა გამოცდები, უმაღლესი სასწავლებლები წინასწარ აცხადებენ თავიანთ მოთხოვნებს, მაგალითად, მინდა სტუდენტი, რომელსაც ფიზიკაში ეს შედეგი აქვს, ქიმიაში – ეს და ა.შ. ბუნებრივია, აკრედიტაციის პრინციპი შენარჩუნებულია, რომელიც გვეუბნება, რომ თუ უმაღლეს სასწავლებელს 100 საკონკურსო ადგილი აქვს, ასმეერთეს ვერ მიიღებს. თუ ასზე ნაკლები სტუდენტი მივიდა, ასეთი მოთხოვნების პირობებში, ვთქვათ – 20, ბუნებრივია უმაღლესი სასწავლებელი ძალიან სერიოზული პრობლემის წინაშე დადგება, იმიტომ რომ, ჩვენ ვიცით, მისი დაფინანსების ლომის წილი სახელმწიფო გრანტებით მოდის – ან სახელმწიფო უხდის სტუდენტს სწავლის საფასურს, ან სტუდენტი იხდის საკუთარი ჯიბიდან. რეალურად, უმაღლეს სასწავლებლებს ვაიძულებთ, აქცენტი გააკეთონ რაოდენობაზე და არა ხარისხზე. რა თქმა უნდა, უმაღლესი საწავლებელი დაინტერესებული უნდა იყოს, რომ მოიზიდოს რაც შეიძლება მეტი სტუდენტი, მაგრამ თუ 100 საკონკურსო ადგილიდან მხოლოდ 20 შეივსება, ეს ფინანსურად ტრაგედია არ უნდა იყოს. შეიძლება აღმოჩნდეს ისეც, რომ არა 100-მა დააკმაყოფილა მოთხოვნები, არამედ 150-მა, ამ შემთხვევაში რა ქნას უმაღლესმა სასწავლებელმა, რომელსაც 100-ზე მეტი სტუდენტის მიღების უფლება არ აქვს. მეორე მხრივ, აბიტურიენტებს ხომ უნდა მივცეთ რამდენიმე არჩევანის შესაძლებლობა?! დავუშვათ, ჩემი შედეგები შემიძლია გავაგზავნო არაერთ უმაღლეს სასწავლებელში. წარმოვიდგინოთ, რომ დავაკმაყოფილე მათი მოთხოვნები და, პირობითად, 5-მა უმაღლესმა სასწავლებელმა ჩამრიცხა. ხუთივეში ხომ ვერ ვისწავლი, არჩევანს ერთ კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებელზე გავაკეთებ, იმ ოთხს კი ადგილს გავუუქმებ, მაგრამ უმაღლესს ხომ თავისი გათვლა აქვს. ვთქვათ, მას 50-მა სტუდენტმა მიმართა და 50-ივე ჩარიცხა, რეალურად კი, 50-ის ნაცვლად, შეიძლება 15 სტუდენტი მივიდეს, დანარჩენებმა სხვა უმაღლესი სასწავლებლები აირჩიონ. ამ შემთხვევაში, რა ქნას უმაღლესმა სასწავლებელმა, რომელსაც, ამ სისტემის წყალობით, სერიოზული ფინანსური პრობლემები ექმნება?! ელემენტარულად, სასწავლო პროცესის დაგეგმვასაც ვერ მოახერხებს, იმიტომ რომ, 50 სტუდენტის მისაღებადაა მზად, მაგრამ რეალურად გაცილებით ნაკლები მოდის.

თუ კარგად არ დავუკვირდებით და ამ პრინციპებზე – დაფინანსების, აკრედიტაციის და ა.შ. – სერიოზულად არ ვიფიქრებთ და რადიკალურად არ შევცვლით, დღეს ძალიან ადრეა ლაპარაკი იმაზე, როგორი საგამოცდო სისტემა გვინდა. სულ ამას ვიმეორებ, ჩამოვყალიბდეთ, შეიქმნას პრინციპები, რა პრინციპების გათვალისწინება მოუწევს ახალ საგამოცდო მოდელს და არანაირი პრობლემა, ახალი საგამოცდო მოდელის შექმნის თვალსაზრისით, ჩვენს ორგანიზაციას არ ექნება.

– ცენტრის ინიციატივა – სტუდენტების დასაქმება

– ეს ჩვენი ორგანიზაციის სოციალური პროექტია – იმ სტუდენტების დახმარება, ვინც ვერ მოიპოვა სახელმწიფო დაფინანსება, სახელმწიფო გრანტი ან ვერ ჩაირიცხა იმ ფაკულტეტზე, სადაც სახელმწიფო სრულად აფინანსებს სწავლას; არ მოხვდა სოციალურ პროექტში და, აქედან გამომდინარე, დაფინანსება ვერ მოიპოვა, მაგრამ სწავლობს და ძალიან უჭირს საფასურის გადახდა. ბევრი შემთხვევაა, როდესაც სტუდენტი მუშაობს და მისთვის არაადეკვატურ საქმეს აკეთებს, რადგან მისი მთავარი საქმე არის სწავლა. ზოგს ღამის საათებში უწევს მუშაობა და წვალობს იმის გამო, რომ სწავლის საფასური დაფაროს ან საცხოვრებლის პრობლემა მოაგვაროს. ძალიან გვინდა ამ სტუდენტებს ჩვენთან თანამშრომლობა შევთავაზოთ. პირადად მე, ვფიქრობ, სტუდენტებისთვის, ფინანსური მხარდაჭერის გარდა, პირველ რიგში, ძალიან საინტერესო იქნება იმ ორგანიზაციაში ყოფნა და მუშაობა, რომელიც საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი სერიოზული ორგანიზაციაა. ჩვენთან ურთიერთობით გამოცდილებასაც შეიძენენ და ბევრ სხვა რამესაც ისწავლიან, რაც მათ ძირითად საქმიანობასთან უფრო ახლოს იქნება, ვიდრე სხვა ნებისმიერი სამუშაო.

პირველ ეტაპზე პილოტირების რეჟიმში ვართ, უნდა ვნახოთ, როგორ ამუშავდება ეს ყველაფერი, მოგვცემს თუ არა სასურველ შედეგს. მივმართეთ რამდენიმე სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელს და მგონია, რომ მეორე ეტაპზე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კერძო უმაღლესი სასწავლებლები, რადგან გადასახადი იქ გაცილებით მეტია, ვიდრე სახელმწიფოში. იქ სწავლობენ ისეთი სტუდენტები, რომლებმაც გრანტიც კი მოიპოვეს, მაგრამ კერძო უმაღლეს სასწავლებელში ერთი იმდენი კიდევ აქვთ გადასახდელი. თუ პილოტირება წარმატებული გამოდგა, რა თქმა უნდა, შემდეგ პროექტი დაიხვეწება.

უმაღლეს სასწავლებლებს თხოვნით მივმართეთ, თავდებად დაუდგნენ თავიანთ სტუდენტებს, რადგან კარგად იცნობენ მათ საჭიროებებს და უკეთ იციან, ვის სჭირდება დახმარება. სამუშაოს რომ ვთავაზობთ სტუდენტებს, პირველ რიგში, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ახალგაზრდები გვინდა. ამიტომაც მივმართეთ უმაღლეს სასწავლებლებს თხოვნით, ასეთი სტუდენტების სია მოგვაწოდონ. სამწუხაროდ, ჩვენი სოციალური პროექტი პირველკურსელებზე ვერ გავრცელდება, რამდენადაც უმაღლესი სასწავლებლები ჯერ არ იცნობენ პირველკურსელებს, ამიტომაც აქცენტი მეორე-მესამეკურსელებზე გვაქვს გადატანილი. ჩვენმა პროექტმა სერიოზული გამოხმაურება გამოიწვია და დიდი იმედი მაქვს, რომ დავეხმარებით ჩვენს ახალგაზრდებს, თუნდაც მცირედით. სექტემბრის ბოლომდე უკვე გვექნება სია. გასათვალისწინებელია მათი სწავლის გრაფიკიც. არ მინდა, რომ სტუდენტების ძირითად საქმიანობას შეეშალოს ხელი, მთავარი და მნიშვნელოვანი მათთვის სწავლაა და შემდეგ უკვე – სხვა დანარჩენი.

დასაქმებაში მხოლოდ ზაფხულის პერიოდი არ იგულისხმება, როდესაც ჩვენ აქტიურად გვჭირდება ძალიან ბევრი ადამიანი მეთვალყურეების, კურატორების, რეგისტრატორების სახით. მთელი წლის განმავლობაში ვატარებთ ოლიმპიადებს, აპრობაციებს, საგანმანათლებლო კვლევებს და ა.შ. ასე რომ, მთელი წლის განმავლობაში გვჭირდება ადამიანები და შესაბამისად, შეთავაზებებიც იქნება. რაც უფრო მეტ სტუდენტს მოვიცავთ, ჩვენც უფრო ბედნიერები ვიქნებით. ახალგაზრდებთან ურთიერთობას არაფერი ჯობია – ეს გამოცდილება წლების განმავლობაში შევიძინეთ. ბუნებრივია, ცალკეულ შემთხვევაში, შეიძლება ჩვენი ურთიერთობა უფრო მჭიდრო ურთიერთობაში გადაიზარდოს და რატომაც არა, ორგანიზაციასაც სჭირდება გაახალგაზრდავება.

ესაუბრა ლალი თვალაბეიშვილი

ინფორმაცია

მინისტრმა მსჯავრდებულებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახი კახიშვილმა არასრულწლოვან მსჯავრდებულებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს. მინისტრები №11 სარეაბილიტაციო დაწესებულებას ესტუმრნენ, სასწავლო პროცესს დაესწრნენ, პედაგოგებს შეხვდნენ და დაწესებულების ბიბლიოთეკა, ასევე, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ოთახი დაათვალიერეს.

„მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო სასწავლო წელი, მათ შორის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაშიც, სადაც 123-ე საჯარო სკოლა ფუნქციონირებს. მქონდა შესაძლებლობა შევხვედროდი აღნიშნული სკოლის მოსწავლეებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა მიზეზით არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში იმყოფებიან, მნიშვნელოვანია, რომ განათლებაზე ხელი მიუწვდებათ, ეს მათი უფლებაა. ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და წარმატებებს ვუსურვებ,“ – განაცხადა თამარ სანიკიძემ. იგი სხვადასხვა ეროვნების მსჯავრდებულებს შესაბამის ენაზე შექმნილი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფასაც დაჰპირდა.

კახი კახიშვილი მსჯავრდებულებს პირადად გაესაუბრა და მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. მინისტრმა №11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში განთავსებულ არასრულწლოვნებს, რომლებიც სხვა საგნებთან ერთად, ინგლისურ ენასაც ეუფლებიან, სურვილის შემთხვევაში, ჩინური ენის შესწავლის პროგრამაში ჩართვაც შესთავაზა.

სასწავლო პროცესში ამჟამად №11 სარეაბილიტაციო დაწესებულების 25 მსჯავრდებულია ჩართული.

კახი კახიშვილი: *„დღეს მე და ქალბატონმა თამარმა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ჩვენს ბავშვებს სასწავლო წლის დადგომა მივულოცეთ. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, განსაკუთრებით ბავშვობის ასაკში. ამიტომაც ვესაუბრეთ მათ, ავუხსენით, რომ მთავარია ახლა ყურები არ ჩამოყარონ და ის დრო, რომელიც დღეს ბევრი აქვთ, მაქსიმალურად გამოიყენონ სწავლისთვის, რომ მომავალში, როდესაც აქედან გამოვლენ, შესაბამისი ცოდნა ჰქონდეთ. ძალიან ბევრს ნიშნავს სწავლის ფუნდამენტი, რომელსაც დღეს იღებენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, უზრუნველვყოფთ მათ ყველანაირი საგანმანათლებლო პროგრამებით.“*

აქტუალური თემა

სქემის პირველი დატვირთული წელი, ანუ პროცესების გამოცდა

ახალი სასწავლო წლიდან მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა ამოქმედდა. სქემის ამოქმედებას წინ ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა – პედაგოგთა პროფესიული სტანდარტის სამუშაო ვერსიას ყველა დაინტერესებული პირი გაეცნო. წლის ბოლომდე არაერთი ღონისძიება და აქტივობა უნდა განხორციელდეს, რომელიც სტრატეგიულ გეგმაშია გაწერილი. *„წელს მართლაც დატვირთული წელი გვექნება“* – ასეთ განცხადებას აკეთებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი **გიორგი მაჩაბელი**. რა იგულისხმება ამ დატვირთულ წელში და კონკრეტულად რა აქტივობები განხორციელდება ერთი წლის განმავლობაში – ამის შესახებ დეტალურად გვესაუბრება **ირინა აბულაძე**, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე:

– საქართველოს მთავრობამ თებერვალში დაამტკიცა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემა. სქემის მიხედვით, დანერგვის ეტაპი 2015 წლის სექტემბრიდან იწყება. პირველი წელი საპილოტეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ინსტრუმენტები, რაც მასწავლებელთა თვითგანვითარებისა და შეფასებისთვის შემუშავდა, წელს გამოიცდება. ჩვენ რეალურად ვნახავთ, ფართო მასშტაბში, როგორ მუშაობს სქემა, რაც მომავალში მოდიფიცირების საშუალებას მოგვცემს. თუმცა ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს საპილოტე წლის შემდეგ შესაძლებელია კარდინალური ცვლილებები – წელს განხორციელებული საქმიანობა მომავალ წელს წყალში ჩაიყრება – რა თქმა უნდა, არა. ცვლილებები უფრო ტექნიკურ მახასიათებლებზე და დეტალებზე მოიაზრება, რაც მიმართული იქნება იმისკენ, რომ მასწავლებლის საქმიანობა შესაბამისად შეფასდეს, ანუ შეფასებები იყოს ვალიდური, იქნება ეს შიდა შეფასება თუ გარე დაკვირვება. ახლა, რეალურად, პროცესების გამოცდა მიმდინარეობს.

– პირველი სიახლე, რასაც ყველა სკოლა ახორციელებს, ფასილიტატორის არჩევაა. კიდევ ერთხელ განვმარტოთ, ვინ იქნებიან ფასილიტატორები, რა კრიტერიუმებით შეირჩევიან, რა როლი და პასუხისმგებლობა დაეკისრებათ?

– ფასილიტატორები უნდა ჰყავდეს ყველა სკოლას. მისი ფუნქციაა დაეხმაროს მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში და ხელი შეუწყოს მათ საქმიანობას სქემაში – შეინარჩუნონ სტატუსი ან გადავიდნენ შემდეგ საფეხურზე. სქემით განსაზღვრულია, რომ სკოლას შეუძლია აირჩიოს ფასილიტატორი და მიამაგროს მას 12-დან 24 მასწავლებლამდე. შემუშავდა ფასილიტატორის შერჩევის კრიტერიუმები, რომელიც გამოქვეყნდა. სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთ თვეში უნდა შეირჩნენ ფასილიტატორები და დაკომპლექტდეს შეფასების ჯგუფები.

მოკლედ შევეხები ფასილიტატორის შერჩევის კრიტერიუმებს – ვეცადეთ, ეს კრიტერიუმები ძალიან დეტალიზებული არ ყოფილიყო, რადგან რთულია მთელი ქვეყნის მასშტაბით ამ ტიპის ადამიანის უნიფიცირება. მასწავლებელთა საჭიროებები ძალიან მრავალფეროვანია და განსხვავდება მათი გამოცდილების, სკოლების ადგილმდებარეობის, თემის საჭიროების, მოსწავლეთა თავისებურებების მიხედვით. ამიტომ ვერც ფასილიტატორი იქნება უნიფიცირებული, რომ დაეხმაროს მასწავლებელს პროფესიულ განვითარებაში. სწორედ აქედან გამომდინარე, ავიღეთ ის მსხვილი და მნიშვნელოვანი კრიტერიუმები, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფასილიტატორს. მაგალითად, უნდა იყოს თავისი საქმის პროფესიონალი, სკოლაში სარგებლობდეს მაღალი რეპუტაციით; იყოს ღია თანამშრომლობისთვის, კარგი კომუნიკაციის უნარით; ჰქონდეს ლიდერის თვისებები. ფასილიტატორი კარგი პედაგოგია, ამავდროულად, შეუძლია გუნდთან მუშაობა, კოლეგიალურია, სამართლიანი და ობიექტური. მან რეალურად უნდა შეძლოს პედაგოგზე პოზიტიური ზეგავლენის მოხდენა და მისი დარწმუნება, რომ პროფესიული განვითარების გზა მის რეკომენდაციებზე დაფუძნებით განახორციელოს. თუმცა, არც ერთ შემთხვევაში ეს არ ნიშნავს, რომ ფასილიტატორები ერთპიროვნულად გადაწყვეტენ, მასწავლებელმა რა უნდა გააკეთოს. ძალიან მნიშვნელოვანია სწორად გავიგოთ, რომ ფასილიტატორი არ არის მასწავლებლის ხელმძღვანელი ამ მიმართულებით, ის არის დამხმარე, მრჩეველი, რომელიც, პირველ რიგში, ეხმარება, მაგალითად, თვითშეფასების კითხვარის შევსებაში. ეს პირველი ნაბიჯია სქემის ამუშავებისას. სასწავლო წლის დასაწყისში ყველა მასწავლებელი ავსებს თვითშეფასების კითხვარს, რომელიც, ასევე, დამტკიცებული და გამოქვეყნებულია. შესაძლოა, მასწავლებელს მართლაც დასჭირდეს ფასილიტატორის დახმარება თვითშეფასების კითხვარის შევსებისას. ეს ისეთი ინდიკატორია, რომლის მიხედვითაც, ის საკუთარ თავს აფასებს – შეიძლება ეს უკავშირდებოდეს სასწავლო გარემოს – ქმნის თუ არა მასწავლებელი შესაბამის გარემოს, სადაც ყველა მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დისკუსიისას – ფასილიტატორს სწორედ იმის ახსნა ევალება, რას ნიშნავს გარემო, რომელიც ყველა მოსწავლეს აძლევს თვითრეალიზების საშუალებას. შესაბამისად, ფასილიტატორი უნდა იყოს მაღალი პედაგოგიური უნარებითა და პროფესიონალიზმით აღჭურვილი ადამიანი.

ფასილიტატორს ირჩევს პედაგოგიური საბჭო. სავარაუდოდ, სკოლა თავად გადაწყვეტს როგორ მივიდნენ კანდიდატურები პედაგოგიურ საბჭომდე – სკოლებში არსებობს საგნობრივი კათედრები, რომელთაც შეუძლიათ მათთვის სასურველი კანდიდატურის წარდგინება, ეს იქნება გამოცდილებით, მიღწევებით, მოსწავლეთა შედეგებით, სკოლის დონეზე განხორციელებული აქტივობებით (იქნება ეს პროექტები თუ სხვ.) გამორჩეული პედაგოგი. კანდიდატს პედაგოგიური საბჭო განიხილავს. რადგანაც სკოლები არ შევზღუდეთ მკაცრად გაწერილი კრიტერიუმებით, მათ შეუძლიათ თვითონ შეიმუშაონ შიდა კრიტერიუმები. მასწავლებლების შეფასებისას, მაღალმთიან სკოლას და თბილისის სკოლას ვერ ექნება ერთი და იგივე კრიტერიუმები, რადგანაც სკოლების საჭიროებები და თავისებურებები განსხვავებულია. შეიძლება, მასწავლებელმა, კონკრეტულ მაღალმთიან სკოლაში, ერთი პროექტი გააკეთა, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ თემისთვისა და სკოლისთვის და არაფრის მომცემი თბილისის სკოლისთვის. ამიტომ, სკოლამ თავად უნდა განსაჯოს, როგორ აფასებს მასწავლებლის მიერ განხორციელებულ საქმიანობას. ეს შესაძლოა იყოს მოსწავლეთა შედეგები, რაიმე სპეციფიკური საქმიანობა, მაგალითად, გარდა იმისა, რომ ასწავლიდა, სსსმ მოსწავლესთან მუშაობდა და კარგ შედეგზე გავიდა. ასევე, შეიძლება იყოს მის მიერ განხორციელებული პროექტი, რომელიც საზღვრისპირა სკოლებში მნიშვნელოვანი აქტივობის განხორციელებას გულისხმობს და სხვ. მასწავლებლის პროფესიონალიზმის შესაფასებლად სკოლისთვის საყრდენი მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი უნდა იყოს.

კრიტერიუმების დამტკიცების წესში არის ჩანაწერი, რომელიც ასეთ შემთხვევას ითვალისწინებს – როცა ფასილიტატორი კანდიდატურები თანაბარი ხმის რაოდენობას ფლობენ, სკოლას შეუძლია უპირატესობა მიანიჭოს: მასწავლებელს, რომელსაც „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით“ განსაზღვრული უფრო მაღალი სტატუსი აქვს; მასწავლებელს, რომელსაც იმ მომენტისთვის სქემის მოთხოვნები ნაწილობრივ ან სრულად აქვს დაკმაყოფილებული. უპირატესობა მიენიჭება სხვა კათედრის მასწავლებელს იმ შემთხვევაში, თუ სკოლა ირჩევს ერთზე მეტ ფასილიტატორს, რათა განსხვავებული საგნის მასწავლებელი იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, სკოლა ირჩევს ფასილიტატორს და სკოლაში არ არის უფროსი მასწავლებელი, ანუ ორივე კანდიდატი პრაქტიკოსია და ორივეს მაღალი შეფასება აქვს პედაგოგიური საბჭოსგან. ერთნაირი სტატუსის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება მას, ვისაც საგნის გამოცდა აქვს ჩაბარებული. საგნის გამოცდა კი სქემის ერთ-ერთი მოთხოვნაა. შესაბამისად, ამ მასწავლებელს სქემის მოთხოვნა ნაწილობრივ აქვს დაკმაყოფილებული.

– ბუნებრივია, ფასილიტატორები მოქმედი მასწავლებლები იქნებიან და, საათობრივი დატვირთვის გარდა, მათ ეს მოვალეობაც უნდა შეასრულონ. რას მიიღებენ ამის საფასურად - თუ არის გათვალისწინებული რაიმე ფინანსური ინტერესი ან რა სარგებელი ექნებათ ფასილიტატორებს?

– ფასილიტატორებს სამი წლის ვადით ირჩევენ. მათ დამატებითი ფინანსური ანაზღაურება არ ექნებათ, მაგრამ, სქემის მიხედვით, წლის ბოლოს, მიიღებენ 1 კრედიტს, ანუ მათ შეუძლიათ 3 კრედიტის დაგროვება. სამი წლის გასვლის შემდეგ (მათ მუშაობას სკოლა შეაფასებს), პედაგოგიურ საბჭოს იმავე კანდიდატურის არჩევა შეუძლია ახალი ვადით, ეს აკრძალული არ არის.

ფასილიტატორობა მათ მისცემს სამ კრედიტს, რომელსაც გამოიყენებენ შემდეგი სტატუსის მისაღწევად, სადაც ხელფასი მოემატებათ. რა თქმა უნდა, შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად ბევრად უფრო მეტი კრედიტია საჭირო, მაგალითად, უფროსი მასწავლებლის სტატუსიდან წამყვანი მასწავლებლის სტატუსზე გადასასვლელად – 13 კრედიტი, ფასილიტატორობით მოგროვილი 3 კრედიტი კი ამ ცამეტი კრედიტის შესავსებად შეუძლია გამოიყენოს და ა.შ.

– რა ინტენსივობით უნდა შეხვდეს ფასილიტატორი მასზე მიმაგრებულ მასწავლებელთა ჯგუფს?

– ყველა სკოლა და დირექტორი ვალდებულია, ფასილიტატორს და მასწავლებლებს სათანადო გარემო შეუქმნას და დაეხმაროს ამა თუ იმ აქტივობის განხორციელებაში. ჩვენ რეკომენდაციით მივმართეთ სკოლებს და გზამკვლევიც გამოიცა, რომელიც მალე დარიგდება (ვებგვერდზე უკვე აიტვირთა). დირექტორმა ფასილიტატორებთან ერთად უნდა შეიმუშაოს გეგმა, თუ რამდენჯერ შეხვდება თითოეული ფასილიტატორი მასზე მიმაგრებულ მასწავლებელთა ჯგუფს. მანვე უნდა გაუწიოს ზედამხედველობა ფასილიტატორს, რამდენად კარგად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს. თუმცა, მინიმუმ, თვეში ერთხელ მაინც, უნდა შეხვდეს ჯგუფს. თუ საჭირო იქნება ინდივიდუალური შეხვედრები, კონსულტაციები, ფასილიტატორმა ესეც უნდა გააკეთოს. მისი ძირითადი ფუნქციაც ხომ ეს არის – გაუწიოს ჯგუფური თუ ინდივიდუალური კონსულტირება მასზე მიმაგრებულ მასწავლებლებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ფასილიტატორი სკოლის შეფასების ჯგუფის წევრია.

როგორც იცით, შეიქმნება სკოლის შიდა შეფასების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრის წარმომადგენელი და ფასილიტატორი. ეს ჯგუფი აფასებს მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეს (როდესაც მასწავლებლები მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობას ატვირთავენ) და აკვირდებიან გაკვეთილს. ფასილიტატორის ვალდებულებაა მასწავლებლის შიდა შეფასებაში მონაწილეობა და განმავითარებელი კონსულტაციების გაწევა. ის მასწავლებელთან ერთად მუშაობს გამოვლენილ შედეგებზე და აძლევს რეკომენდაციებს. შეფასების ჯგუფიდან ფასილიტატორი ყველაზე მეტად ეხმარება მასწავლებელს. იგი ვალდებულია, შეფასების ჯგუფთან ერთად, განიხილოს გაკვეთილის სუსტი და ძლიერი მხარეები, შემდეგ კი სუსტი მხარეების გამოსასწორებლად იმუშაოს მასწავლებელთან.

– იგეგმება თუ არა ფასილიტატორთა გადამზადება?

– ფასილიტატორების შერჩევა და შეფასების ჯგუფების დაკომპლექტება, წესით, სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა დასრულდეს. თუმცა, ალბათ, იქნება გამონაკლისები, რომელსაც სკოლებთან ერთად განვიხილავთ და ინდივიდუალურად დავეხმარებით. მინდა მივმართო სკოლებს, თუკი არჩევის პროცესში პრობლემები წარმოიქმნება, მოგვმართონ და პარალელურ რეჟიმში გავუწევთ კონსულტირებას. როგორც კი შეირჩევიან ფასილიტატორები და მოგვივა ინფორმაცია სად რამდენი ფასილიტატორია, მაშინვე დავიწყებთ მათ გადამზადებას ძალიან მოკლე და ინტენსიური კურსით. ეს იქნება ფასილიტატორის მოდული – რას ვაკეთებ პირველ რიგში და როგორ ვეხმარები მასწავლებელს.

პირველი საყოველთაო მომზადება, რაც ჩვენ ახლა განვახორციელეთ (უფრო საინფორმაციო შეხვედრებს დავარქმევ), არის ის, რომ პირველი სექტემბრიდან სკოლის დაწყებამდე, საინფორმაციო შეხვედრებს გავმართავთ საქართველოს ყველა სკოლაში. პრაქტიკულად, შევხვდით ყველა დირექტორს, ეს ჩვენი ცენტრის მიერ მომზადებულმა ტრენერ-კონსულტანტებმა გააკეთეს. მათ დირექტორებს გააცნეს და დეტალურად აუხსნეს ის პროცესები, რაც სწავლის დაწყების შემდეგ განხორციელდება. ახლა მიმდინარეობს მასწავლებელთა საფეხურებზე გადანაწილების პროცესი, პარალელურად კი, როგორც გითხარით – ფასილიტატორების შერჩევა. 30 სექტემბრამდე მასწავლებლები სქემით განსაზღვრულ საფეხურებზე გადანაწილდებიან, ხოლო ოქტომბრის ბოლომდე ფასილიტატორთა შერჩევის პროცესიც დასრულდება. ჩვენ უკვე ვაკომპლექტებთ ჯგუფებს, რომლებიც ოქტომბრის შუა რიცხვებიდან დაიწყებენ ფასილიტატორთა გადამზადებას.

– გადანაწილდნენ თუ არა პედაგოგები სქემით განსაზღვრულ საფეხურებზე და მიენიჭათ თუ არა სტატუსი? ზოგადად, როგორ მოხდება მათი გადანაწილება, მხოლოდ დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე თუ გასაუბრებით?

– ამ ეტაპისთვის სკოლებმა დაასრულეს მასწავლებლების შესახებ ინფორმაციის შეყვანა e-school სისტემაში. კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მასწავლებლები მოხვდებიან საფეხურებზე, მათი *განათლების საფეხური* – ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი – და *სერტიფიცირება*. სქემის მიხედვით, ეს ორი კრიტერიუმი გადამწყვეტია, რომელ საფეხურზე გადანაწილდებიან პედაგოგები. მაგალითად, პრაქტიკოს მასწავლებლად მოხვდება ბაკალავრის ან მაგისტრის საფეხურის მქონე, მაგრამ არასერტიფიცირებული პედაგოგი, მათ შორის იქნებიან ისეთები, ვისაც ერთ-ერთი აქვს ჩაბარებული – ან საგანი, ან პროფესიული უნარები – სერტიფიცირება ორივეს ჩაბარებას გულისხმობდა.

აქტუალური თემა

თუმცა, მათ მეორე საფეხურზე გადასვლის უფრო სწრაფი გზა ექნებათ. თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი არასერტიფიცირებულია, მაგრამ ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა, რაც შემდეგ საფეხურზე გადასვლის სავალდებულო მოთხოვნაა, მას ნაწილობრივ დაკმაყოფილებული აქვს სქემის მოთხოვნა და 5-კრედიტიანი ტრენინგის გავლა მოუწევს. თუ პირიქით ხდება, ჩაბარებული აქვს პროფესიული უნარების გამოცდა და არა საგანი, არ მოუწევს 5-კრედიტიანი ტრენინგის გავლა, რომელიც ასევე სავალდებულოა შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად, თუმცა მოუწევს საგნის გამოცდის ჩაბარება. პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის სამი მოთხოვნაა: საგნის გამოცდის ჩაბარება, პროფესიული უნარების 5-კრედიტიანი ტრენინგის გავლა და შიდა სასკოლო დაკვირვება.

უფროსი მასწავლებლის საფეხურზე მოხვდებიან სერტიფიცირებული მასწავლებლები, ასევე დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომლებიც სკოლაში ასწავლიან და არ არიან სერტიფიცირებულები. მათ აუცილებლად უნდა გაიარონ შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ ორგანიზებული გარე დაკვირვება. ამ საფეხურზე დოქტორის ხარისხის მქონე მასწავლებელი საგანს არ აბარებს. გარე დაკვირვება, ნაწილობრივ, საგნის კომპეტენციასაც ადასტურებს, ანუ ჩვენ ვთქვით, რომ დოქტორს, რომელმაც თავის სფეროში მოღვაწეობა აკადემიური ხარისხით დაადასტურა, საგნის კომპეტენციის დადასტურება აღარ მოვთხოვოთ. აქ მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ და დირექტორმა, საათების განაწილების დროს, აუცილებლად გაითვალისწინონ, რაში აქვს მინიჭებული აკადემიური ხარისხი (არ შეიძლება აკადემიური ხარისხი ჰქონდეს ფილოლოგიაში და ასწავლიდეს სხვა საგანს, მაგ. ქიმიას), მაგალითად, თუ აკადემიური ხარისხი გერმანულ ფილოლოგიაში აქვს, გერმანულში გამოცდა აღარ უნდა ჩაუტარონ, მაგრამ აუცილებლად უნდა შემოწმდეს, როგორ იყენებს ცოდნას საგაკვეთილო პროცესში.

დაგვრჩა მესამე საფეხური – წამყვანი მასწავლებელი, სადაც ამჟამად სკოლებში მყოფი სერტიფიცირებული, დოქტორის ხარისხის მქონე მასწავლებლები განთავსდებიან.

ხაზგასმით მინდა გითხრათ, რომ ეს კრიტერიუმები ვრცელდება ახლა, მასწავლებელთა საფეხურებზე განაწილების დროს. მომავალში, თუ ვინმეს მოუნდება წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვება, აუცილებელი არ იქნება, მაინცდამაინც დოქტორი იყოს. ნებისმიერი მასწავლებელი, რომელიც მოინდომებს უფროსი მასწავლებლის საფეხურიდან გადავიდეს წამყვანი მასწავლებლის საფეხურზე, ამას იმ 19 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში შეძლებს, რომელიც სქემის მიხედვითაა გათვალისწინებული. სქემაში იმ აქტივობების ჩამონათვალიცაა, რომელთა განხორციელების შემთხვევაშიც შეძლებს მასწავლებელი 19 კრედიტის დაგროვებას, მაგალითად, გარე დაკვირვება, სამოდელო გაკვეთილი, კვლევა, რომელიც საკუთარი პრაქტიკის შესახებ უნდა ჩაატარო და ა.შ.

ახლა სქემის მიხედვით მასწავლებელთა საფეხურებზე გადანაწილება მიმდინარეობს, შემდეგ კი მასწავლებლები კარიერულ წინსვლაზე ზრუნვას დაიწყებენ. გვეყოლება, ასევე, სკოლის ატესტატის მქონე სერტიფიცირებული მასწავლებელი, რადგანაც ძველი სერტიფიცირების დებულების მიხედვით, თუ მასწავლებელი, რომელსაც ჰქონდა ზოგადი განათლების დამადასტურებელი საბუთი, გაივლიდა სერტიფიცირებას, მისი აკადემიური ხარისხი უმაღლესის ხარისხს უტოლდებოდა. ამიტომაც, იქნება შემთხვევები, როცა სკოლის ატესტატის მქონე სერტიფიცირებული მასწავლებელი თავისუფლად მოხვდება როგორც წამყვანი, ასევე, მენტორის საფეხურზეც. განსაკუთრებით ეს ეხება მაღალმთიანი სოფლების სკოლებს, სადაც კადრების დეფიციტია.

– როგორ იქნება მენტორი მასწავლებლის შემთხვევაში?

– ჯერჯერობით, მენტორი მასწავლებლები არ გვეყოლება. მენტორი ერთადერთი სტატუსია, რომელიც წლების განმავლობაში მიიღწევა – მენტორები იქნებიან წამყვანი მასწავლებლები, რომლებიც 25 კრედიტს დააგროვებენ (მაქსიმუმ ხუთი წლის განმავლობაში). ისინი არიან განსაკუთრებული უნარებით აღჭურვილი ადამიანები, რომლებსაც სკოლის განვითარებაზე ეფექტური გავლენის მოხდენის შესაძლებლობა აქვთ.

ჯერ კიდევ ზუსტდება მონაცემები, რომელ საფეხურზე რამდენი მასწავლებელი გვეყოლება. თუმცა, წინასწარი მონაცემებით, წამყვანი მასწავლებლის საფეხურს, დაახლოებით, 100-120 ადამიანი დაიკავებს. მთლიანად სისტემაში 400-მდე დოქტორის ხარისხის მქონე მასწავლებელი გვყავს, ნაწილი სერტიფიცირებულია, ნაწილი – არა. ეს მასწავლებლები ძალიან მარტივად, შეიძლება ორი წლის განმავლობაშიც კი, ავიდნენ მენტორის საფეხურზე. რასაკვირველია, იმის შესაბამისად, თუ როგორ განახორციელებენ თავიანთ საქმიანობას. ასევე, თეორიულად შესაძლებელია, რომ უფროსი მასწავლებლის საფეხურზე მყოფნი, უახლოესი ორი წლის განმავლობაში, წამყვანი მასწავლებლის საფეხურზე ავიდნენ – მათთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა გარე დაკვირვებაა. შესაბამისად, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ამზადებს გარე დაკვირვების რუბრიკას. ამ სასწავლო წელს გამოიცდება, შემდეგ მისი მოდიფიცირება მოხდება და მომავალ ზაფხულში დაიწყება სკოლების აღჭურვა ვიდეოკამერებით და საჭირო ტექნიკით. სავარაუდოდ, შეფასებისა და გამოცდების ცენტრი დაკვირვების პროცესისთვის 2016-17 სასწავლო წლისთვის იქნება მზად. თეორიულად, უფროსი მასწავლებელი, რომელიც უკვე მზად არის, გარკვეული აქტივობები განახორციელოს, გარე დაკვირვებასაც მომავალი სასწავლო წლიდან გაივლის.

პედაგოგთა, დაახლოებით, 30-35 პროცენტი გვეყოლება უფროსი მასწავლებელი, ხოლო ძირითადი ნაწილი, დაახლოებით, 70 პროცენტი – პრაქტიკოსი მასწავლებელია.

– ახალი სქემის მიხედვით, როგორ ხდება პროფესიაში შესვლა, ანუ რა მოეთხოვებათ მასწავლებლობის მსურველ ადამიანებს?

– სქემის მიხედვით, სკოლამ უნდა გამოაცხადოს საჯარო ვაკანსია, ჩაატაროს ღია კონკურსი და შეარჩიოს მასწავლებელი შემდეგი კრიტერიუმებით: კანდიდატს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ჩაბარებული საგნის გამოცდა. სქემის მიხედვით, საგნის გამოცდები წელიწადში ორჯერ ჩატარდება, რათა მასწავლებლობის მსურველებმა, უკვე მოქმედ მასწავლებლებთან ერთად, სცადონ ბედი. პროფესიაში შემსვლელთათვის ძალიან გამკაცრდა მოთხოვნები – პროფესიაში შემსვლელმა კანდიდატმა აუცილებლად უნდა დაადასტუროს საგნობრივი კომპეტენცია და კიდევ, რაც მას მოეთხოვება, არის პედაგოგიური განათლება – ან დიპლომში უნდა ეწეროს პედაგოგის ხარისხი, ან უნდა ფლობდეს მასწავლებლის სერტიფიკატს. ეს სერტიფიკატი გაიცემა უნივერსიტეტების 60-კრედიტიანი პროგრამებით, ასეც ჰქვია ამ პროგრამას – მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამა. იმისთვის, რომ მასწავლებლობის მსურველი გახდეს მასწავლებელი, უნდა ჩააბაროს საგნის გამოცდა და, თუკი მას არ აქვს დიპლომით მინიჭებული პედაგოგის კვალიფიკაცია, გაიაროს 60-კრედიტიანი პროგრამა.

გარდა ამისა, უნივერსიტეტები მუშაობენ 300-კრედიტიან პროგრამებზე და მომავალ წელს უკვე განახორციელებენ მიღებას. ეს პროგრამა უთანაბრდება მაგისტრის ხარისხს. მისი გავლის შემდეგ, პედაგოგს აღარ დასჭირდება დამატებითი საგნის ჩაბარება და ა.შ. მას შიგნით ექნება პრაქტიკის და საგნის სახელმწიფო გამოცდა, ამ პროგრამას გაძლიერებული პრაქტიკა აქვს, რომელიც გულისხმობს ჩაშენებულ პრაქტიკას კურსებში და ძალიან ინტენსიურს – სკოლაში. შემდეგ ბარდება სახელმწიფო გამოცდა, რომლითაც დადასტურდება, რომ პრაქტიკაც მიღებული აქვს და საგანიც იცის, ამიტომ პირდაპირ უფროსი მასწავლებლის საფეხურზე შევა, სადაც შედარებით მაღალი ხელფასი ექნება, ვიდრე პრაქტიკოსი მასწავლებლის საფუხურზე ექნებოდა.

– როდის შეიძლება დაიწყონ მასწავლებლებმა კრედიტების დაგროვება?

– კრედიტების დაგროვება მასწავლებლებმა შეიძლება დაიწყონ საფეხურებზე გადანაწილების შემდეგ. პირველ რიგში რაც უნდა გააკეთონ, ეს არის თვითშეფასების კითხვარის შევსება – გამოყონ თავიანთი საჭიროებები და ამის მიხედვით დაგეგმონ, რა ტრენინგი გაიარონ და რა აქტივობა განახორციელონ. შესაბამისად, როგორც კი დასრულდება განაწილება, ფასილიტატორების შერჩევა და გადამზადება, 5-კრედიტიან ტრენინგებზე გამოცხადდება რეგისტრაცია. თუმცა, აქ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია, 5-კრედიტიან პროგრამაზე მასწავლებლები მას შემდეგ მოვლენ, რაც საგნის გამოცდას ჩააბარებენ, ანუ მასწავლებელს, რომელსაც ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა, გამოცხადებისთანავე შეუძლია ჩაერთოს 5-კრედიტიან პროგრამაში, ხოლო გაზაფხულიდან – გაიაროს შიდა დაკვირვება, რომელსაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი შესთავაზებს.

პრაქტიკოს მასწავლებლებს 4 წელი ეძლევათ საფეხურიდან გადასასვლელად, სამი წელი – საგნის ჩასაბარებლად. მასწავლებლებმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა იზრუნონ საგნის ჩაბარებაზე და 5-კრედიტიანი პროგრამის გავლაზე.

პრაქტიკულად, ოთხ წელიწადში პრაქტიკოსი მასწავლებელი აღარ გვეყოლება.

– მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ, რა აქტივობები უნდა განახორციელონ წელს სკოლებმა?

– წელს განსახორციელებელი აქტივობებია (ანუ რას აკეთებენ სკოლები): ირჩევენ ფასილიტატორს; ქმნიან შიდაშეფასების ჯგუფს; ზედამხედველობას უწევენ მასწავლებლებს, რომ თვითშეფასების კითხვარი შეავსონ; ზედამხედველობას უწევენ ფასილიტატორებს, რომლებიც მასწავლებელთა ჯგუფებთან მუშაობენ და პროფესიული განვითარების გზებს გეგმავენ. მასწავლებლები კი მიჰყვებიან იმ გზას, რომელსაც შეიმუშავებენ და დაგეგმავენ ფასილიტატორთან ერთად. სასწავლო წლის ბოლოს კი აფასებენ თავიანთ გეგმას – რა გააკეთეს, რა შეასრულეს, რას მიაღწიეს, რას ვერ მიაღწიეს. შემდეგ, ახალი სასწავლო წლიდან, ისევ თვითშეფასების კითხვარის შევსებით, ახალი სასწავლო წლის მუშაობას გეგმავენ.

ეს ყველაფერი, ბუნებრივია, მიბმულია ანაზღაურების გაუმჯობესებაზე, ანაზღაურება კი – საფეხურებზე. პირველ რიგში, სწორედ ამის მიხედვით განსხვავდება მასწავლებლის ხელფასი, მაგრამ ხელფასი განსხვავებულია, ასევე, მასწავლებლის სპეციფიკიდან გამომდინარეც, მაგალითად, ერთი და იმავე საფეხურზე მყოფ მასწავლებელს შეიძლება სხვადასხვა ანაზღაურება ჰქონდეს, ვთქვათ, უფროსი მასწავლებლის საფეხურზე მყოფი მასწავლებლის ხელფასი შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს იქიდან გამომდინარე, რამდენ საათს ატარებს, რა სტაჟი აქვს, არის თუ არა დამრიგებელი, მუშაობს თუ არა სსსმ მოსწავლეებთან და ა.შ. უახლოეს დღეებში დამტკიცდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, რომელიც სქემის მიხედვით ანაზღაურების შესახებ ცვლილებას ითვალისწინებს.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

P.S. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ნუსხა შეგიძლიათ იხილოთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე www.tpdc.ge

ინფორმაცია

სამუშაოს მაძიებელთა მომზადება-გადამზადების პროგრამა

შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები მომზადება-გადამზადების პროგრამას იწყებენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, ქეთევან ნატრიაშვილმა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, ზაზა სოფრომაძემ ბრიფინგი გამართეს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას კერძო და საჯარო პროფესიული სასწავლებლებისთვის აღნიშნული ინიციატივის შესახებ, ასევე კოორდინაციას გაუწევს, პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლების მიერ ისეთი მოკლევადიანი პროფესიული პროგრამების შემუშავების პროცესს, რომლის მიზანია სამუშაოს მაძიებელთა პორტალზე – www.worknet.gov.ge – რეგისტრირებული ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოკლევადიანი პროფესიული პროგრამები, 50-ზე მეტ სპეციალობაში, შემუშავდება იმ მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისად, რომლებიც იდენტიფიცირდა შრომის ბაზრის თვისებრივი კვლევის შედეგად. პროგრამის მიზანია, კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზით, სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების მიმწოდებელთა ქსელი ყოველწლიურად ფართოვდება და დაინტერესებულ ადამიანებს საშუალება ექნებათ, საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად, შეარჩიონ ის სასწავლებელი, რომელიც განახორციელებს მათთვის სასურველ პროგრამას.

პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტია სამუშაო ადგილებზე სწავლება-სტაჟირება, რომელიც განხორციელდება დამსაქმებელთან შეთანხმებით, თავისუფალი სამუშაო ადგილების არსებობის შემთხვევაში. სტაჟირების ვადა არ აღემატება 3 თვეს. გადამზადების მსურველებს მიეცემათ სახელმწიფო სტიპენდია, თვეში 150 ლარის ოდენობით. სტაჟირების მთავარ მიზანს წარმოადგენს დამსაქმებლის მიერ, შერჩევის საფუძველზე, მინიმუმ, ერთი სტაჟიორის დასაქმება.

პროგრამაში ჩაერთვებიან საქართველოს მოქალაქეები 20 წლის ზემოთ, რომლებიც რეგისტრირებულები არიან შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაზე და თანახმა არიან, გაიარონ მოკლევადიანი სასწავლო კურსი. ამ ეტაპზე, პროგრამაში ჩაერთვება 1138 სამუშაოს მაძიებელი.

ქეთევან ნატრიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე: *„მოგეხსენებათ, რომ ქვეყანაში პრიორიტეტია შესრულებული სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესება, ასევე, მაღალი ხარისხის განათლების გზით, დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება. შესაბამისად, სამუშაოს მაძიებელთა მომზადებისა და გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს შორის თანამშრომლობა. ამ თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას კერძო და საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლებისათვის. აღნიშნული ინიციატივის შესახებ ინფორმაცია უკვე დაეგზავნა, დაახლოებით, 100-მდე სასწავლებელს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ასევე, კოორდინაციას გაუწევს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ისეთი მოკლევადიანი პროფესიული პროგრამების შემუშავების პროცესს, რომლის მიზანიც გახლავთ სამუშაოს მაძიებელთა პორტალზე რეგისტრირებული ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლება.*

ვიმედოვნებთ, სამუშაოს მაძიებელთა მომზადება-გადამზადების პირველი ეტაპი წარმატებით განხორციელდება.“

ზაზა სოფრომაძე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე: *„როგორც ქალბატონმა ქეთევანმა მოგახსენათ, ჩატარდა შრომის ბაზრის საკმაოდ სერიოზული კვლევა, რის შედეგადაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასაქმების დეპარტამენტმა გამოავლინა 55 ყველაზე მოთხოვნადი პროფესია. შესაბამისად, მომზადება-გადამზადების პროცესშიც გათვალისწინებულია ეს პროფესიები. თვითონ პროექტი ორ ძირითად ნაწილადაა გაყოფილი: პირველი, როგორც უკვე ვისაუბრეთ, არის მოკლევადიანი გადამზადება საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ხოლო მეორე – სტაჟირების ნაწილი, რაც გულისხმობს იმას, რომ დასაქმების მსურველები, მინიმუმ 3 თვის ვადით, მიმაგრებული იქნებიან დამსაქმებელთან შესაბამისი პროფესიის ასათვისებლად. ჩვენი მთავარი ამოცანაა, დამსაქმებლებმა სტაჟირების გავლის შემდეგ, დაასაქმონ, მინიმუმ, ერთი სტაჟიორი მაინც. მთელი ამ ხნის განმავლობაში, მიმაგრების პერიოდში, სტაჟიორებს ეძლევათ სახელმწიფო სტიპენდია, თვეში 150 ლარის ოდენობით, რაც მათთვის დამატებითი სტიმულია. “*

ქართული როგორც მეორე ენა

მე „ჯავახეთის შეხიზნული“ მერქვა

„შეუძლებელია – ეს მხოლოდ ხმამაღალი სიტყვაა, რომლის უკანაც იმალებიან პატარა ადამიანები. მათთვის უფრო ადვილია იცხოვრონ შეჩვეულ სამყაროში, ვიდრე – იპოვონ თავში ძალა, რაიმე შეცვალონ. შეუძლებელია – ეს არაა ფაქტი. ეს მხოლოდ ვარაუდია. შეუძლებელია – ეს არაა განაჩენი, ეს გამოწვევაა. შეუძლებელია – ესაა შანსი, გამოავლინო თავი. შეუძლებელია – ეს არაა მუდმივი. შეუძლებელი შესაძლებელია“. მე სწორედ ამ, ბევრისთვის შეუძლებელის წინააღმდეგ გალაშქრება გადავწყვიტე და გადავდგი ნაბიჯი ჯავახეთისკენ მიმავალ გზაზე. იყო ბევრი კითხვა:

– „რა გინდა ჯავახეთში“, „იმ სიშორეზე რა წაგიყვანს“, „უცხო ხალხში“ – უფრო შორსაც წასულან, ჯავახეთიც ხომ ჩემი ქვეყნის ნაწილია, ხალხი კი ყველგან უცხოა. „ცხოვრება მოხეტიალე ცირკია, მე ამ წარმოდგენას უნდა დავესწრო“.

გადაწყვეტილება მიღებული იყო, შესარჩევი ეტაპი გავლილი და მომავალი ერთი წელიც დაგეგმილი. ზუსტად ერთ თვეში, თბილისის ცენტრიდან ორი მიკროავტობუსი დაიძრა, სავსე გულებანთებული ახალგაზრდებით და სამგზავრო ჩემოდნებით, რომლებშიც თბილ ტანსაცმელთან ერთად ელაგა უამრავი წიგნი, მშობლების მიერ შერჩეული საჩუქრები სომეხი მასპინძლებისთვის, სუფთა ფურცლებიანი დღიურები და ფერადი ქაღალდები, რათა პატარებთან ერთად შეგვექმნა ჩვენი ფერადი და მხიარული სამყარო. იმ დღეს ვტოვებდი ძველს, დროებით, და ჩემს ცხოვრებაში კიდევ ერთი ახალი ეტაპი იწყებოდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე გაკვალულ გზაზე მიწევდა გავლა, ბევრს ვფიქრობდი რა დამხვდება იქ, როგორ შემხვდებოდა ხალხი. არც გზა ვიცოდი, არც კვალი და არც არავის ვიცნობდი. იმ დღიდან მე, ჯავახეთს შეხიზნული, ახალ ცხოვრებას ვიწყებდი. დრო, დანიშნულების ადგილამდე, სამომავლო გეგმებზე და მოლოდინებზე საუბარში გავიდა. მიკროავტობუსის ფანჯრებიდან პეიზაჟები სწრაფად იცვლებოდა და თვალწინ ისახებოდა შემოდგომის ულამაზესი ხედები, ცხვრის ფარით სავსე მინდვრები და ხშირი სოფლები. თანდათან ხეები მცირდებოდა, სოფლები იშვიათდებოდა და სახლები კანტიკუნტად ჩანდა. ბოლოს იყო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ცენტრი, მეგობრებთან გამომშვიდობება, ახალ ოჯახთან შეხვედრა და გზა სოფლამდე, სადაც მომავალი ერთი წელი უნდა გამეტარებინა. დღიურში, რომელმაც ჩემთან ერთად განვლო შორი გზა იმისთვის, რომ ემოციები აღებეჭდა და შემოენახა, ვწერდი ყოველდღე ჯავახეთის კრიალა ცის ქვეშ მჯდომარე. იქვე იყო ულამაზესი საღამოს და ფარავნის ტბა, ფოკის მონასტერი, სადაც წმინდა ნინომ პირველად დადგა ფეხი და დღესაც მისი მადლი უხვად იგრძნობა. ხალხი თბილი, ყოველ შემთხვევაში ჩემი ოჯახის წევრები. მეც სოფელში გავიზარდე და რა უნდა მეუცხოოს, ვფიქრობდი ყოველთვის, მაგრამ ის „სხვანაირი“ სოფელი იყო, თუმცა „ადამიანის შესაძლებლობებს ზღვარი არა აქვს“ და მეც მალე შევეჩვიე იმ, ჩემთვის „სხვანაირ სოფელს“.

ოქროსფერი დღეები... ფერებით მდიდარი ბუნება – წითელი, ყვითელი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი, ხალებიანი ხალიჩა ეფინებოდა დედამიწას... ფოთოლთა ზეიმი... ფოთლის მოზაიკით დაფარული მიწა... თვალების დახუჭვაც კი არ მჭირდებოდა, ისე წარმოვიდგენდი ხოლმე ამ სილამაზეს იქ, სადაც „შემოდგომა გამორჩათ“ და ვხვდებოდი, თუ რა ძლიერ მყვარებია შემოდგომის „ოქროსფერი დღეები“. სიცივისგან მობუზული, სირბილით მივითვლიდი რამდენიმე კიბეს, თან ბავშვების შეძახილი მომდევდა: „გამარჯობა თამარა მასწავლებელო“ (ყველასთვის სათითაოდ უნდა მეპასუხა, გული რომ არ დაწყვეტოდათ). კარებს ხშირად უფროსკლასელები მიღებდნენ. სკოლაში შესულს ჟრიამულით შემომეხვეოდნენ ფეხებზე ჩემი პატარები, ზემოდან რომ დავყურებდი, ყველა ერთნაირი ჩანდა – დიდი, თეთრი ბანტები მთელ თავს უფარავდათ. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ვინ იქნებოდა პირველი და უფრო ახლოს მასწავლებელთან. რამდენიმე წუთი მჭირდებოდა სულშეხუთულს თავის გასათავისუფლებლად. ასე ცვლიდა სიცივეს სითბო და მე ბედნიერი ვიყავი ყოველივე ამით.

თოვლი, ყინვა, ქარბუქი.... ახალგაღვიძებულს ცოტა არ იყოს შემეშინდა ფანჯრიდან დანახული გარე სამყაროსი, მაგრამ ესეც თავისებურად საინტერესო იყო. გარეთ გასულს მარტო თვალებიღა გიჩანს და იმასაც ვერ ახელ. ყოველი მხრიდან ნამქერი, ფეხები თოვლში გეფლობა, მიდიხარ გაყინულ-გათოშილი და ირგვლივ არაფერი ჩანს... გარეთ ისევ ბობოქრობდა ბუნება, მიუხედავად იმისა, რომ უკვე აპრილი იყო და ჩემი წამოსვლის დღეც ახლოვდებოდა. გარეთ ციოდა, ქარი ბობოქრობდა, მე კი არც ისე თბილად და მყუდროდ მოკალათებული ვფიქრობდი, რომ... დრო გადის, ვიზრდებით... მოგონებები გვემატება, მაგრამ მათგან ძალიან ბევრი მეხსიერებაში ილექება და ზოგიერთი იშლება კიდეც... შედარებით ცოტა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მაინც ბევრი მოგონებაა ისეთი, რომელიც გონებიდან არასდროს ამოიშლება. ის შეიძლება იყოს ძალიან მწარე ან პირიქით, ძალიან ტკბილი... სხვა რა უნდა მეკეთებინა ასეთ ამინდში. მე ბედნიერი ვარ თითოეული იქ გატარებული დღით, მათი ბაგიდან წარმოთქმული თითოეული ქართული სიტყვით. მეამაყება, რომ ვიყავი იმ დიდი არმიის ჯარისკაცი, რომელიც მომავლისთვის ქართული სიტყვით იბრძვის.

თამარ უგულავა

სასკოლო აქტივობა

მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში

სკოლის ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. მოსწავლეებს, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ, გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით, კეთილგანწყობილი არიან სკოლის მიმართ, აქვთ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა. მშობელთა ჩართულობის ამაღლება შესაძლებელია, როდესაც სკოლასა და მშობლებს შორის ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობებია. შვილის სწავლის პროცესში მშობლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მშობლისა და მასწავლებლის კარგი ურთიერთობა ხელს უწყობს მოსწავლის წარმატებას, ზრდის და აძლიერებს მის თვითშეგნებას. თუ ბავშვმა იცის, რომ მშობელი დაინტერესებულია შვილის აკადემიური წარმატებით, ეს დადებითად მოქმედებს მის მოტივაციაზე. სკოლამ, პერიოდულად, უნდა მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია ბავშვის აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევის შესახებ, აგრეთვე, იმ მოთხოვნებზე, რომლის დაკმაყოფილებაც ბავშვს სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად სჭირდება. მასწავლებელს, ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენებით, შეუძლია წაახალისოს მშობლები და სასწავლო პროცესში ჩართოს. კარგი კომუნიკაციის უნარი წარმატებული ურთიერთობის წინაპირობაა.

უკვე მეოთხე წელია, ჩვენი სკოლა ჩართულია საქართველოს დაწყებითი განათლების G-PRIED-ის პროექტში. მიმდინარე სასწავლო წელს, მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობისა და მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით, გადაგვამზადეს სკოლის დირექტორები. ტრენინგების დამთავრებისთანავე შევკრიბე მშობლები და გავაცანი მშობელთა ჩართულობის პროგრამით გათვალისწინებული პროექტები: „მოხალისე მშობელი“, „G-PRIED-ის მკითხველთა კლუბი“, „თამაშის საღამო“, „სურათი მშობლებთან ერთად“, „ოჯახური კინოკლუბი“, „მხიარული სტარტები მშობელთა მონაწილეობით“, „მშობლის დღიური“ და სხვ. ეს ტრენინგი საინტერესო აღმოჩნდა მშობლებისთვის. პროექტის ფარგლებში, I-VI კლასებში, დაურიგდათ აქტივობების კრებული მშობლებისათვის, რომელიც კითხვისა და მათემატიკის უნარების განმავითარებელ აქტივობებს მოიცავდა. კრებულში მოცემული სახალისო დავალებები საშუალებას აძლევდა მშობელს, დახმარებოდა ბავშვს მეტყველების, კითხვისა და წერის, არითმეტიკული მოქმედებების შესრულებისა და მათემატიკური ამოცანების ამოხსნის უნარების განვითარებაში.

გამომდინარე აქედან, მშობლებმა გამოიჩინეს ინიციატივები: მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ერთად შექმნეს ლოგო – მაჩვენებელი იმისა, რომ მათი სკოლა აქტიურია ოჯახის ჩართულობის მხრივ; მოეწყო მშობელთა კუთხე, სადაც განთავსებული იყო ფოტომასალა, საინტერესო ინფორმაცია პერიოდულად იცვლებოდა. განცხადებები იუწყებოდა მოახლოებული შეხვედრებისა და ღონისძიებების ჩატარების შესახებ, ქვეყნდებოდა მოსწავლეთა ნამუშევრები ხელოვნების სფეროში, მოსწავლეთა თხზულებები.

2015 წლის 8 თებერვალს, პროექტის მიერ ორგანიზებულ წიგნიერების კონფერენციაზე, ჩვენი სკოლის პედაგოგის **მზია ხარებავას** საპრეზენტაციო თემა იყო: „წიგნიერების განვითარებაში მშობელთა ჩართვის ეფექტური გზები“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

პირველ კლასში მოეწყო საახალწლო ღონისძიება მშობელთა ჩართულობით. მათ მიეცათ შესაძლებლობა, გამოსულიყვნენ შვილებთან ერთად და შეესრულებინათ ესა თუ ის ნომერი. მეორე კლასში ჩატარდა ღია საჩვენებელი გაკვეთილი მშობლებისთვის, თემაზე: „სპილომ ნატვრა აისრულა“. გაკვეთილზე გამოყენებული იყო, პროექტის ფარგლებში მიღებული და სკოლაში შექმნილი, მრავალფეროვანი რესურსები. მასწავლებელმა მოწვეულ მშობლებს გააცნო ინოვაციური მიდგომები და ახალი მეთოდოლოგიები, რომლითაც ისინი უკეთ დაეხმარებოდნენ შვილებს საშინაო დავალების შესრულებაში. სამოდელო გაკვეთილის ჩანაწერმა საშუალება მისცა მოსწავლეს გვერდიდან დაენახა საკუთარი თავი, მშობელმა კი ნახა, როგორია მისი შვილი გაკვეთილზე.

მესამე კლასის მოსწავლეების მშობლები (ხელმძღვანელი – **ემა ფიფია**) აქტიურად ჩაერთნენ სახალისო პროექტში „სურათი მშობლებთან ერთად“. ისინი თავიდანვე იყვნენ გაფრთხილებული, რომ ფოტომასალა განკუთვნილი იქნებოდა საზოგადოებისთვის საჩვენებლად. მშობლებმა და მოსწავლეებმა ამოარჩიეს აქტივობები G-PRIED-ის აქტივობების ბარათებიდან და იგივე სიტუაციები განასახიერეს. სურათები გადაიღეს შინ და გარეთ, მაღაზიაში და ა.შ. შეირჩა საუკეთესო სურათები, შეიქმნა მშობელთა ჩართულობის ამსახველი სლაიდშოუ და მოეწყო პრეზენტაცია. მესამე კლასის მოსწავლეებმა, ასევე, დადგეს სპექტაკლი „ჩხიკვთა ქორწილი“, გააცოცხლეს ვაჟა-ფშაველას პერსონაჟები. საღამოს აფიშა და მოსაწვევები მშობელთა დახმარებით დაამზადეს, ასევე, ხელმარჯვე მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართული ნიღბების დამზადებასა და კოსტიუმების შექმნაში. საღამო მხიარულად და საინტერესოდ წარიმართა.

მეოთხე კლასში მშობელმა **მაია არახამიამ**, საკუთარი ინიციატივით, მოაწყო აქტივობა „თამაშის საღამო“ – მოიწვია მშობლები და შესთავაზა შვილებთან ერთად ჩართულიყვნენ თამაშში. მან გამოიყენა საკუთარი შესაძლებლობები და სხვებს მისცა საუკეთესო მაგალითი, უფრო აქტიურად ჩაერთონ სკოლის ცხოვრებაში. გამართა შეჯიბრი გუნდებს შორის, გამარჯვებულები გამოავლინა და დიპლომებით დააჯილდოვა. ამავე კლასში (ხელმძღვანელი – **ფატიმა ხვიჩავა**) განხორციელდა პროექტი „მშობლის დღიური“. გაიმართა წლის განმავლობაში, მშობელთა ჩართულობით, ჩატარებული ღონისძიებებისა და აქტივობების ამსახველი ფოტომასალისა და სლაიდშოუს პრეზენტაცია. ამ ღონისძიებამ სხვებსაც გაუჩინა გააქტიურებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის მოტივაცია.

მეექვსე კლასმა მოაწყო დედაენის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი „იაკობიდან ფარნავაზამდე“. მზადების პროცესში აქტიურად ჩაერთვნენ მშობლებიც და ზეიმმაც საინტერესოდ ჩაიარა. G-PRIED-მა დამატებითი საკითხავი წიგნები მოგვაწოდა. „მკითხველთა კლუბი“ ყოველთვიურად აწყობდა კითხვის საღამოებს. იმართებოდა წაკითხულის განხილვა – სხვანაირად როგორ შეიძლებოდა ამა თუ იმ მოთხრობის დასრულება, რომელი პერსონაჟი მოეწონათ. მშობლები პედაგოგებს კითხვაზე და კითხვის სტრატეგიებზე ესაუბრებოდნენ. მასწავლებლები მშობლებს ამომწურავ ინფორმაციას აწოდებდნენ შვილების წარმატებებსა და პრობლემების შესახებ.

წლის ბოლოს ჩავატარეთ „სახალისო კონკურსი“ მშობლებისა და ბავშვებისათვის „მკითხველთა კლუბის“ იმ წევრების გამოსავლენად, ვინც ყველაზე უკეთ იცნობდა G-PRIED-ის დამატებით საკითხავ წიგნებს. მშობლებსა და მოსწავლეებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, სპეციალურად მათთვის დამზადებული სახალისო დიპლომები და „მადლიერების სერტიფიკატები“ გადაეცათ.

მესამე და მეოთხე კლასებში, მშობელთა აქტიური ჩართულობით, მოეწყო „მხიარული სტარტები“ მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზების მიზნით. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრში ჩართული იყვნენ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები და მათი მშობლები.

ჩვენი სკოლის პედაგოგებმა კარგად აუღეს ალღო პროექტს. აქტივობებში ჩართვით გააქტიურდნენ ბავშვები, გაუმჯობესდა მათი აკადემიური მოსწრება. მშობლებისა და შვილების ერთად კითხვამ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო ენობრივი და კითხვითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მშობლები უკეთ გაეცნენ შიდასასკოლო სამზარეულოს, უფრო გააქტიურდნენ. მათ, საზეიმო ვითარებაში, მადლობისა და ყველაზე აქტიური მშობლის სერტიფიკატები გადავეცით. ჩვენი მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ამის დასტურია ქალბატონ **ლია გიგაურის** მიერ გადმოცემული სერტიფიკატი „მშობელთა ჩართულობის მიმართულებით აქტიური მუშაობისათვის“, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის G-PRIED-ის ხელმძღვანელობას.

პროექტი გრძელდება და ახალი სასწავლო წლიდან ვგეგმავთ მშობლების უფრო აქტიურად ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში.

ლულა ხვიჩავა
ჩხორიის საჯარო სკოლის დირექტორი

სახელმძღვანელოები

გამომცემლებო, არ დანებდეთ!

კოლაფსი გასესხებიდან მესამე წლისთავზე

განათლებისა და და მეცნიერების ყოფილი მინისტრი გიორგი მარგველაშვილი ბრძანებდა, რომ 2013-2014 სასწავლო წლიდან სახელძმღვანელოები იქნებოდა უფასო, მშობლებს კი შესაძლებლობა მიეცემოდათ, ამის შედეგად დაზოგილი თანხა (150-დან 200 ლარამდე) სხვა რამისთვის გამოეყენებინათ.

მალე გაირკვა, რომ სახელმძღვანელოები სრულებითაც არ ყოფილა უფასო – სასწავლო წლის დამთავრებისთანავე ისინი მოსწავლეებს ჩამოართვეს და, ფაქტობრივად, მივიღეთ სახელმძღვანელოების ცხრათვიანი უფასო განათხოვრება. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ შეიძლება მხატვრული, სამეცნიერო ან სხვა სახის წიგნების განათხოვრება – სწავლას მოწყურებული, ბეჯითი, კარგი მოსწავლე სასკოლო სახელმძღვანელოებს არავისზე არ ანათხოვრებს, რადგან ის მუდამ სჭირდება, სკოლის დამთავრებამდე და მის შემდგომაც. ამიტომ უფრო მართებული იქნება, განათლების სამინისტროს ამ პროექტს ვუწოდოთ „სახელმძღვანელოების უპროცენტოდ რამდენჯერმე გასესხება“! გასესხებული სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობის, ვარგისიანობისა და ამოღების პროცესი საბანკო წესებსა და პროცედურაზე უფრო გამკაცრებულია, რადგან მშობლები, დირექტორები და დამრიგებლები შიშით არიან შეპყრობილები. სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ, არდადეგებზე დამრიგებლები კარდაკარ დადიოდნენ მოსწავლეებზე „გასესხებული“ სახელმძღვანელოების ამოსაღებად.

წელს მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა: სახელმძღვანელოების გასესხება, ერთი სკოლის კლასების მოსწავლეთა ნაცვლად, სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს შორის ხდება: სასწავლო პროცესის დამთავრებისთანავე, დამრიგებლები სახელმძღვანელოებს აფასოებენ თავიანთი კლასების თითოეულ მოსწავლეზე. ზედმეტი სახელმძღვანელოები კი ცალკე, და ვინ იცის რომელ, სკოლაში იგზავნება.

მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, დამრიგებლებმა „ჭკუა ისწავლეს“ და მოსწავლეებს სახელმძღვანელოები სწავლის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე ჩამოართვეს. მასწავლებლის კითხვაზე, თუ რატომ არ იციან გაკვეთილი ან რატომ არა აქვთ დავალება, მოსწავლეებს პასუხი მზად აქვთ – იმიტომ რომ სახელმძღვანელოები ჩააბარეს, და ამის გამო, თუ ადრე სწავლის ხანგრძლივობა, დაახლოებით 9 თვე იყო, ამჯერად, ზემოთ აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე 8 თვე გახდა.

ზოგიერთი მოქალაქის მსგავსად, ხელისუფლების მიერ სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემას, თავის დროზე, მეც „პიარი“ ვუწოდე. ვაღიარებ, რომ შევცდი: პიარის შემთხვევაში, ერთი მხარე მაინც რჩება მოგებული. ჩვენ შემთხვევაში, ორივე მხარე წაგებულია. განათლების სამინისტროს ამ, რბილად რომ ვთქვათ, დაუფიქრებელი, გაუაზრებელი გადაწყვეტილების შედეგად მივიღეთ:

1) შეწყვეტილი საქმიანი კავშირი პედაგოგებსა და სახელმძღვანელოების ავტორებს შორის;

2) ავტორების იძულებითი უმოქმედობა და მათ შორის შეწყვეტილი კონკურენცია;

3) არ გამოიცემა ახალი, გაუმჯობესებული სახელმძღვანელოები და გაუმჯობესებული მასწავლებელთა სარეკომენდაციო წიგნები;

4) ავტორების, სპეციალისტების ან სპეციალისტთა ჯგუფების მიერ, ყველა კლასში, ცალკეულ საგნებში, საგნის სწავლების მეთოდური სახელმძღვანელოები, რომლის გამოცემაზე ამ პირობებში საუბარი ზედმეტია (ეს მეთოდური სახელმძღვანელოები უნდა ჩანაცვლებოდა ძვირადღირებულ ტრენინგებს);

5) პედაგოგებისთვის იმ უფლების შეზღუდვა, რომ სწავლის პროცესში შეეძლოთ ერთი ავტორის სახელმძღვანელო სხვა, მათთვის მისაღები, ავტორის სახელმძღვანელოთი შეეცვალათ;

6) სასკოლო სახელმძღვანელოების გარეშე დარჩენილი სკოლის ბიბლიოთეკები;

7) განათლების სამინისტროს დაავიწყდა მასწავლებლები, რომელთათვისაც არ დაურიგებია მასწავლებლის წიგნები, რომელსაც წინა წლებში გამომცემლობები საჩუქრად გადასცემდნენ მათ;.

8) არათანაბარ პირობებში აღმოჩენილი ქართველი და ინგლისურენოვანი ავტორები და გამომცემლები;

9) სავალალო ვითარება არაქართულენოვანი (აზერბაიჯანული, რუსული, სომხური) სკოლების მეშვიდე-მეთორმეტე კლასებში, რომლებიც არაგრიფირებული (?!) სახელმძღვანელოებით სწავლობენ;

10) დაიხურა ქართული სტამბების ნაწილი, წიგნების მაღაზიები, ქართველ გამომცემლებს ერთი მილიონი ნაშთი შეატოვეს და მივიღეთ გაკოტრებული გამომცემლები.

როგორც ცნობილია, შარშან სახელმძღვანელოების სრული რაოდენობის 40% დაიბეჭდა. მაშინ ვივარაუდე, რომ წელს 80% იქნებოდა დასაბეჭდი, თურმე აქაც შევცდი. წელს განათლების სამინისტრომ მხოლოდ 42 ათასი (ორმოცდაორი ათასი) სახელმძღვანელო დაბეჭდა.

ყოველივე ზემოთქმული იმას ნიშნავს, რომ უხეშად ირღვევა ქართველ ავტორთა და გამომცემელთა საავტორო და საგამომცემლო უფლებები. გამომცემლობების გაჩერება კი ქვეყნის ინტელექტუალური განვითარების შეფერხებას ნიშნავს. საფრთხე ექმნება ქვეყნის გადარჩენის გზას. ამიტომაც გამომცემლებს მინდა მივმართო: „არ დანებდეთ! საფრთხე არ შეუქმნათ ქვეყნის გადარჩენის გზას. სულ ცოტაც მოითმინეთ და ხელისუფლების ბავშვური ქმედების გამო თქვენი სამწლიანი უთანასწორო ბრძოლა დასრულდება. ყველაფერი მოგვარდება, ყველაფერი ქვეყნის სასიკეთოდ იქნება“.

დემურ კუხალეიშვილი

P. S. ახლახან გავიგე, რომ არაპროფესიონალები და საქმიდან შორს მდგომი ადამიანები ცდილობდნენ ნახმარი სახელმძღვანელოებისთვის ყდები გამოეცვალათ (ცნობილი ანდაზისა არ იყოს, გარეთ ახალი, შიგნით ნახმარი). ბავშვების მოტყუება არ გამოუვათ. დრო მოვა და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

ინფორმაცია

იუბილარ მასწავლებელს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა

ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სახალხო დღესასწაული „ელიაობა“ და „დედოფლისწყაროობა“ ერთად აღინიშნა.

დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე, სპეციალურად მოწყობილი სცენიდან, ტრადიციულად, საპატიო და წარმატებული მოქალაქეები დაასახელეს. მათ შორის ეს წოდება მიენიჭა ცნობილ ჟურნალისტებს: **კლარა ოზაშვილს**, **ნაირა გორაშვილს**, **ნანა ჭიჭინაძეს**, **ილია მარტყოფლიშვილს**, ღვაწლმოსილ პედაგოგებს: ნათელა ნანობაშვილს, ცისანა მჭედლიშვილს, **მერი პოპიაშვილს**, **სვეტლანა შალვაშვილს**, **ნანული ნატროშვილს**, **ჯულიეტა პოპიაშვილს**, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე სულ 18 წარჩინებულს.

ნათელა მასწავლებელი შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად

ცხოვრებისა და შრომის დიდი გზა გაიარეს ამაგდარმა პედაგოგებმა. მე, ერთ-ერთ მათგანს, ჩემი რუსული ენისა და ლიტერატურის იუბილარ მასწავლებელს, თხემით ტერფამდე ინტელიგენტ, არაჩვეულებრივი გარეგნობის, უმშვენიერეს ქალბატონ ნათელა მასწავლებელს წარმოგიდგენთ.

გუშინდელ დღესავით მახსოვს V კლასში ნათელა მასწავლებლის შემოსვლა. ის მოგვესალმა და გვითხრა – მე თქვენ რუსულ ენას შეგასწავლით... საკლასო ჟურნალი გადაშალა და ანბანის მიხედვით ყველა მოსწავლე გაგვიცნო, ჩემი სახელი და გვარი რომ ამოიკითხა, დასძინა – მარიკას ახლოს ვიცნობ, იგი ჩემი კარის მეზობელია, ოთხი კლასი სულ ხუთებზე დაამთავრა და ვუწინასწარმეტყველებ, საშუალო სკოლასაც ხუთებზე დაამთავრებს – ასეც მოხდა!

ნათელა მასწავლებელი V კლასიდან XI კლასის ჩათვლით გვასწავლიდა. 10 წლის ბავშვები მაშინ ვერ ვაცნობიერებდით, რომ იგი თავისი საგნის გამორჩეული პროფესიონალი გახლდათ. მან გვაზიარა დიდი რუსი კლასიკოსების: ა. პუშკინის, ლ. ტოლსტოის, მ. გორკის, მ. ტურგენევის, ვ. მაიაკოვსკის და სხვ. შემოქმედებას. იმ პერიოდში გაძლიერებული რუსული ისწავლებოდა ჩვენს სკოლაში. ნათელა მასწავლებელი თითოეული მოსწავლის მესაიდუმლე იყო. ბევრი კეთილი რჩევა გვახსოვს მისგან. მის გაკვეთილზე გატარებული ყოველი წამი ძვირფასი მოსაგონარია...

ნათელა მასწავლებელი მრავალშვილიანი დედაა. ოთხი მცირეწლოვანი შვილი დარჩა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ. მან მეურვეობა თავის თავზე აიღო და შესანიშნავად აღზარდა შვილები: თემურ, პავლე, ნანა და დუგლას თავაძეები. ყველას უმაღლესი განათლება მიაღებინა თბილისის პრესტიჟულ ინსტიტუტებში.

ამ დღეებში ნათელა მასწავლებელს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. სიურპრიზი მოუწყვეს შვილებმა, რომლებიც მეუღლეებთან და შვილებთან ერთად, გაუფრთხილებლად ესტუმრნენ დედას და საიუბილეო თარიღი მიულოცეს. ამაზე დიდი საჩუქარი რა უნდა ყოფილიყო მისთვის. ოთხი შვილის და ათი შვილიშვილის მოსიყვარულე და მზრუნველი ბებოს საიუბილეო თარიღს კიდევ ერთი სამახსოვრო მოვლენა დაერთო თან – სახალხო დღესასწაულზე იგი დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ დაასახელეს. შესანიშნავი სიტყვით მიმართა მან დამსწრე საზოგადოებას: *„ეს წოდება ჩემთვის დიდი პატივია, ძალიან კმაყოფილი ვარ, ჩემი შრომა რომ დააფასა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ. ორმოცი წელი ვემსახურე მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. არაერთი თაობა აღვზარდე, გმადლობთ, რომ ჩემი თაობის ადამიანები გახსოვთ და აფასებთ და არც ახალგაზრდების წახალისება გავიწყდებათ. დიდი მადლობა კახეთის გუბერნატორს, ირაკლი შიოლაშვილს, რომელმაც სამი წლის წინ, რაიონის გამგებელი რომ იყო, საფუძველი ჩაუყარა „დედოფლისწყაროობას“ და ამ ხნის მანძილზე არაერთი ცნობილი ადამიანი გახდა საპატიო და წარმატებული დედოფლისწყაროელი, მათ შორის, საზღვარგარეთ მოღვაწე ჩემი ყოფილი მოსწავლე ირმა შიოლაშვილი, მსოფლის ბარიტონი ლადო ათანელი, ცნობილი პოეტები, ჩვენი თანამემამულეები: მაყვალა გონაშვილი, მარინე ცხვედიაშვილი და სხვები. ამით საზოგადოებას დაანახა, რომ კეთილსინდისიერი და თავდადებული შრომა უკვალოდ არ ქრება.“*

დედოფლისწყაროელებს „ელიაობა“ და სახალხო დღესასწაული მიულოცეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა**, კახეთის გუბერნატორმა **ირაკლი შიოლაშვილმა**, დედოფლისწყაროს გამგებელმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა**, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქემ „ეტალონის“ წამყვანმა, ტელეჟურნალისტმა **გოჩა ტყეშელაშვილმა**.

გაიმართა დიდი გალა-კონცერტი თბილისელი და ადგილობრივი ცნობილი მომღერლების მონაწილეობით, რომელიც გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდა.

მარიკა პოპიაშვილი

თვალსაზრისი

შესაძლებელია თუ არა, ფორმალური განათლების პირობებში მოსწავლეს განუვითარდეს „ხელოვნების“ ესთეტიკური აღქმა

სკოლებში არსებული საათობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, ხელოვნებას (მოიაზრება მუსიკა და სახვითი ხელოვნება) ნაკლები საგაკვეთილო საათები აქვს დათმობილი, ვიდრე, მაგალითად, მათემატიკას, ინგლისურს, ისტორიას, ლიტერატურას. თუმცა, ხსენებული აკადემიური დისციპლინების პაექრობა, საათების გადანაწილების კუთხით, მიზანშეწონილი არ არის, რადგან „ხელოვნება“ არსებითად სხვა მოვლენაა და არ შეიძლება სხვა საგნების კონკურენტად მოიაზრებოდეს. თეოდორ საიზერი ხელოვნებას ორი მიმართულებით ჰყოფს: აღქმისა და გამოხატვის. ერთი მხრივ, ადამიანს უნდა შეეძლოს როგორც დაწერილი და წარმოთქმული სიტუაციების, ასევე ვიზუალური და ბგერითი ფორმით გადმოცემული ინფორმაციის აღქმა. მეორე მხრივ, „ხელოვნება ვიზუალური და მუსიკალური გამოხატვაა, რაც შემოქმედებით და ესთეტიკურ გამოცდილებას წარმოადგენს“ (თეოდორ საიზერი, 2010, 97).

სკოლები ყურადღებას, ძირითადად, მოსწავლეებში ესთეტიკური გამოცდილების განვითარებაზე ამახვილებენ, რაც მეტად რთული ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით შესასრულებლად სკოლებს მცირე შესაძლებლობები აქვთ. როგორც წესი, მხატვრობისა და მუსიკის სწავლება კრახით სრულდება, შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ ეს სფეროები იგნორირებულია.

შეუძლებელია, ჩავთვალოთ, რომ ესთეტიკური საკითხები ისევე ექვემდებარება თანმიმდევრულ სწავლებას, როგორც წიგნიერების საკითხები. ამიტომაც მთავრდება იმედგამაცრუებელი შედეგებით სკოლების მცდელობა, ასწავლონ მოსწავლეებს „შემოქმედებითობა“ კვირის კონკრეტულ დღესა და საათზე.

მოყვანილი მსჯელობებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფორმალური განათლების პირობებში შეუძლებელია მოსწავლეებში „ხელოვნების“ ესთეტიკური აღქმის განვითარება.

მეორე მხრივ, საიზერი მიიჩნევს, რომ, პირიქით, ამ პროცესის განვითარება შესაძლებელია სკოლებში, ოღონდ არ უნდა დაემსგავსოს მათემატიკის, ფრანგულის, ფიზიკის სწავლებას. მნიშვნელოვანია, სკოლებს ჰქონდეთ საშუალება, მოსწავლეებს, ამ კუთხით, მრავალფეროვანი მოსამზადებელი კურსები და პროგრამები შესთავაზონ. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს არასაგაკვეთილო კურსის მასწავლებლებს, გათავისუფლდნენ „სწავლების“ ჩარჩოდან და თავისუფალ სივრცეში წარუდგინონ მოსწავლეებს ხელოვნების მნიშვნელოვანი და ამაღლებული ნიმუშები. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: შემოქმედებითი მოსწავლის იდენტიფიკაცია და საგაკვეთილო პროცესის მორგება მასზე. ასეთ შემთხვევაში, ერთადერთი, რაც შეიძლება სკოლამ გააკეთოს, არის ის, რომ: თუ მასწავლებელი ამბობს, რომ კონკრეტულ მოსწავლეს უნდა მივცეთ საშუალება, დაარღვიოს საგაკვეთილო განრიგი, სკოლამ ეს გამონაკლისი უნდა დაუშვას, რადგან ხელოვნების სფეროში საუკეთესო შედეგებს აღწევენ იმ სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები, სადაც ახალგაზრდები მოქნილი განრიგის პირობებში სწავლობენ და გვერდით ჰყავთ დადებითად განწყობილი მასწავლებლები სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში. ასეთი მიდგომების გათვალისწინებით საჯარო სკოლებში ხელოვნების სწავლება წარმატებული გახდება.

რა ძირითადი გამოწვევები დგას სკოლის დირექტორის, როგორც მმართველის წინაშე

სკოლის დირექტორი არის ადამიანი, რომელიც დგას იმ ურთიერთობათა ცენტრში, რაც მასწავლებლებსა და სკოლის მიღმა არსებულ იდეებსა თუ ადამიანებს შორის ყალიბდება. სწორედ ეს ურთიერთდამოკიდებულება წარმოშობს მუდმივ კონფლიქტებსა და დილემებს, რომელთა დაძლევა და თავიდან აცილება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული დირექტორზე. მარტივად რომ ვთქვა, სწორედ დირექტორი ქმნის „ამინდს“ და განაპირობებს ამ ურთიერთობების პოზიტიურად თუ ნეგატიურად წარმართვას.

ათწლეულის განმავლობაში დირექტორთა ფუნქციები ბევრად რთული და დატვირთული გახდა. კანადელი განათლების სპეციალისტის, მაიკლ ფულანის აზრით ძირითადი გამოწვევები, რაც დირექტორის წინაშეა, ესაა ცვლილებების განხორციელება. თუ ათწლეულების წინ დირექტორის უმთავრესი ფუნქცია იყო წარმმართველი როლი გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარებაში სკოლისა და თემის დონეზე, დღეს მის მთავარ ფუნქციად ცვლილებების განხორციელება იქცა. იმ ცვლილებებისა, რომლებიც ხშირად დირექტორისთვისაც გაუგებარია, მისგან კი ამ ცვლილებების ხელმძღვანელობას, სკოლის ეფექტურ მართვას და ყველა პრობლემაზე სათანადო რეაგირებას ელიან. ასევე სკოლას სთხოვენ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას და სკოლის იდეალურ ორგანიზაციად ჩამოყალიბებას.

ნიუმენმა და მისმა კოლეგებმა, ჩატარებული კვლევების საფუძველზე, დაასკვნეს, რომ სკოლის სიძლიერე განისაზღვრება დირექტორის, როგორც ძირითადი ლიდერის და მთელი კოლექტივის ქმედითუნარიანობით, რომლებიც ერთად მუშაობენ მოსწავლეთა სწავლების გასაუმჯობესებლად. იდენტიფიცირებულ იქნა სკოლის შესაძლებლობების ხუთი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტი:

1. მასწავლებლის ცოდნა, უნარები და ქცევები;
2. პროფესიული თემი;
3. პროგრამის თანმიმდევრულობა;
4. ტექნიკური რესურსები;
5. პრინციპული ლიდერობა.

როგორც კვლევის ავტორი მიიჩნევს, სკოლის შესაძლებლობები ვერ განვითარდება ხარისხიანი ლიდერის გარეშე. სხვაგვარად რომ ითქვას, დირექტორის როლი უნდა განაპირობებდეს ოთხ ფაქტორს, რათა ყველა კომპონენტის ურთიერთქმედება სრულყოფილად ჩამოყალიბდეს.

ველსის ფონდის მიერ ჩატარებული ანალიზის მიხედვით, ლიდერი დაკავებული უნდა იყოს სამი ძირითადი ტიპის საქმიანობით:

1. მიმართულების დასახვა;
2. ადამიანების განვითარება;
3. ორგანიზაციის გადაკეთება.

სკოლის განვითარება ორგანიზაციული მოვლენაა, ამიტომ დირექტორი, როგორც ლიდერი, ძალიან მნიშვნელოვანია.

ქეთევან ჭორჭოლიანი
სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურას საჯარო სკოლის ინგლისური ენის კონსულტანტ-მასწავლებელი

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 295 80 23

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო



კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

მიმდინარეობს ხელმოწერა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**
ისტორიის მიღმა
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტეზუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი

** წიგნი I**
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი

10 ლარი



მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სიახლე

პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევადისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.

წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდიკა როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

თითოეულის ფასი – 7,30 ლარი



თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

12 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

ფასი – 15 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

თემატური კლასტერები

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. სოფლახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. წყლის ბინადრები

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ძართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები *(34X47 სმ)*

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ გლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

პროფესიული უნარების ფესტივალი სან პაულოში

Worldskills georgia-ს გუნდი, ბრაზილიაში, ქალაქ სან პაულოში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრში მონაწილეობდა. პროფესიული უნარების საერთაშორისო კონკურსში სან პაულოში 59 ქვეყნის 1200-მდე მონაწილე, 4 საკონკურსო დღის განმავლობაში, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ პროფესიულ უნარებს სხვა ქვეყნის კონკურსანტებზე უკეთ ფლობს. საქართველო წელს 6 პროფესიით იყო წარდგენილი.

Worldksills San Paulo 2015-ზე, ნომინაციაში „ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენელი“ – Best of Nations გახდა პროფესიულ კოლეჯ „იკაროსის“ სტუდენტი ლეონარდო სტეფანოვი – სარესტორნო სერვისი.

Worldksills-ის ისტორია 1950 წლიდან იწყება და მონაწილეთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. 43-ე კონკურსს, წევრი ქვეყნის სტატუსით, წელს პირველად, საქართველოც შეუერთდა. ფლორისტი, მზარეული, სტილისტი, სარესტორნო საქმის სპეციალისტი, ვებდიზაინერი და შემდუღებელი – ეს იმ პროფესიების ჩამონათვალია, რომლებითაც საქართველო წარდგა კონკურსზე.

ლეონარდო სტეფანოვი: *„სარესტორნო სერვისი საკმაოდ საინტერესო სფეროა, იმიტომ რომ, მუდმივად ხარ ხალხთან კომუნიკაციაში, ეცნობი სხვადასხვა ხალხების ტრადიციებს, სამზარეულოს. ეს ის პროფესიაა, სადაც ყოველთვის შეგიძლია გამოიყენო შენი ფანტაზია, ინოვაციურია და მუდმივად ცვალებადი.“*

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი დაიწყო

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი, 2015-2016, სასწავლო წელი დაიწყო. ახალი სასწავლო წლის დაწყება სტუდენტებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ მიულოცა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს 27 აკრედიტებული საბაკალავრო, 13 სამაგისტრო და 11 სადოქტორო პროგრამა, ქართულ ენაში – მომზადების საგანმანათლებლო და მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე, 9 ავტორიზებული სამაგისტრო პროგრამაც.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, 2014-2015 სასწავლო წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, განხორციელდა ფასადის რეაბილიტაცია, გარემონტდა სასწავლო კორპუსები, ლაბორატორიები, სარდაფი, მოეწყო ბიბლიოთეკა და საგამოცდო ცენტრი, შეივსო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

თამარ სანიკიძე: *„წელს სოხუმის უნივერსიტეტმა, დაახლოებით, 800 სტუდენტი მიიღო, თითქმის შევსებულია უფასო მიმართულებებიც, რაც ასევე მისასალმებელია. მინდა მივულოცო ყველა სტუდენტს სასწავლო წლის დაწყება და ვუსურვო წარმატება, რადგან ისინი მოხვდნენ უნივერსიტეტში, რომელსაც ნამდვილად აქვს თავისი ისტორია და ტრადიციები. მინდა ის იმედები, რასაც სახელმწიფო, და თვითონ უნივერსიტეტიც, ამ ახალგაზრდებზე ამყარებს, გამართლდეს.“*

დიმიტრი ჯაიანი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი: *„წელს 84 სტუდენტი გვყავს ოკუპირებული ტერიტორიიდან. ეს ძალიან მაღალი ციფრია, თუ გავითვალისწინებთ, რა პირობებში უხდებათ სწავლა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსწავლეებს, პედაგოგებს, მშობლებს. ყველაზე მეტად გასახარია, რომ ცოდნამ თავისი გაიტანა და იმ პედაგოგების უანგარო, გმირობის ტოლფასი შრომა (ღამის 2-3 საათზე ბავშვებს ინკოგნიტოდ, თავიანთ სახლებში ამეცადინებენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში) დაფასდა.“*

ჯონი აფაქიძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი: *„სექტემბრის მესამე კვირას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტრადიციულად, იწყებს სწავლას. დღესაც ამ ტრადიციას არ ვუღალატეთ და პირველკურსელებთან საზეიმო შეხვედრა შედგა. ძალიან გვახარებს , რომ ჩვენს ღონისძიებას მრავალი საპატიო სტუმარი ესწრებოდა და სტუდენტებისთვის ძალიან კარგი კულტურული პროგრამა იქნა წარმოდგენილი. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენთან სტუდენტებმა ხარისხიანი განათლება მიიღონ და მათთვის საინტერესო იყოს სოხუმის უნივერსიტეტში სწავლა. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა შემოქმედებით ჯგუფებში. გვაქვს ევროკავშირის სხვადასხვა პროექტები, რომლებიც სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობას აძლევს. ჩვენი არაერთი სტუდენტი, ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში სწავლობს.*

ასე რომ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა საინტერესოა, პრესტიჟულია და ალბათ ამიტომაც, ტრადიციულად, ყოველთვის ძალიან ბევრი მსურველია ჩვენს უნივერსიტეტში მობილობით გადმოსვლის.“

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი წლის სტუდენტებს იღებს

82 ქართველი ახალგაზრდა ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომს თბილისში მიიღებს. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს პროგრამების სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს დირექტორმა მაგდა მაღრაძემ მიულოცეს.

პროექტი „ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – საქართველო“ 2014 წლის ივლისში დაიწო, როდესაც ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს მთავრობასა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის. პროექტი ხორციელდება აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის 140 მილიონი დოლარის კომპაქტის ფარგლებში. პროექტის მიზანია საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრებისა და ადამიანური კაპიტალის გაძლიერება, საინჟინრო და ტექნოლოგიური სფეროს მიმართულებით. უმაღლესი განათლების პროექტის განხორციელებისთვის, კომპაქტის ფარგლებში, მოხდება 30 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირება გრანტის სახით.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკული ბაკალავრიატის პროგრამები საქართველოს სამ წამყვან სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდება, ესენია: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. წელს, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს შემდეგ სპეციალობებს სთავაზობს: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ქიმია/ბიოქიმიაში; ბაკალავრის აკადემიური ხარისხი კომპიუტერული ინჟინერიის დარგში; ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ელექტრული ინჟინერიის დარგში.

21-ე საუკუნის ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფო კვლევითი უნივერსიტეტის უპირატესობას წარმოადგენს მისი ძლიერი სამეცნიერო ბაზა და აკადემიური პერსონალი. ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები მზად არიან პროფესიული კარიერის დაწყებისათვის ან სწავლის შემდგომ საფეხურზე წარმატებით გაგრძელებისათვის.

ათასწლეულის გამოწვევის მეორე კომპაქტს ახორციელებს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო.

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK